ეკონომიკური ბიულეტენი. „ეროვნული ფილმი"

ფილმი

ფასი 50 თეთრი

№117 (1012) 28 - 30 ნოემბერი, 2014 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ათი წლისაა

გვ. 2

პარლამენტმა პირველი მოსმენით ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის კანონპროექტი მიიღო

ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტს რესპუბლიკელებმა, თავისუფალმა დემოკრატებმა და ნაციონალებმა დაუჭირეს მხარი

მამუკა არეშიძე: „გასალები" შსს-ს უნდა გადავცეთ, რათა იგი კანონისა და პასუხისმგებლობის ჩარჩოში მოვაქციოთ"

რა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო „მოსმენების" კანონმა და დატოვებენ თუ არა კოალიციას რესპუბლიკელები

„ფონდი ნატახტარის" 2014 წლის ანგარიში – 420 000 ლარი და 164 ბენეფიციარი

სოციალური პროექტის „იბრუნე მომავალზე" მეოთხე ტალღა უკვე დაიწყო

გვ. 9

2015 წელს საქართველო „ენერგეტიკული ქარტიის" თავმჯდომარე ქვეყანა იქნება

კახა კალაძე: „საქართველომ კასპიის ენერგორესურსების საიმედო საცრანზიტო ქვეყნის სტატუსი დაიმკვიდრა"

გვ. 7

ტკივილგამაყუჩებლები ჰეროინსა და კოკაინზე საშიშია

გვ. 9

გვ. 6-7

მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები (2014 წელი)

რკინიგზელები მასობრივი გაფიცვით იმუქრებიან

გვ. 5

რა სარკინიგზო შემთხვევები გამოიწვია პროტესტმა, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა და რას ითხოვენ გაფიცულები

მსახიობები „ნასედკების" როლში

რის სანაცვლოდ თანამშრომლობდნენ ფეისები პოლიციასთან და რამდენი ადამიანი მოხვდა ციხეში მათი დამსახურებით

გვ. 8

პატიმრის დღიური

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი ათი წლისაა

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ათი წლის იუბილე აღნიშნა. სამინისტროს შენობასთან გამართულ საგანგებო ღონისძიებას, რომელიც საქართველოს ჰიმნით გაიხსნა, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, მთავრობის წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პოლიციელებს სიტყვით მიმართა, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა.** მისი განცხადებით, სამწუხაროდ, ადამიანების ვიწრო ჯგუფს არ ესმის, რატომ უნდა იყოს კიდევ უფრო ძლიერი პოლიცია და შინაგან საქმეთა სამინისტრო: **„ჩემთვის პირადად, კიდევ უფრო ძლიერი შინაგან სამინისტრო ნიშნავს ძლიერ სახელმწიფოს. ჩემი დევიზია: ძლიერი შინაგან საქმეთა სამინისტრო, ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი ქართული სპეცსამსახურები. ეს არის ჩვენი ქვეყნის წარმატების, განვითარებისა და წინსვლის საწინდარი. თითოეული პოლიციელი ემსახურება თავის ქვეყანას და თითოეული მათი დღე არის წარმატებული. შთამბეჭდავია რეფორმები, რომელიც ბოლო ორ წელში გატარდა. მათი დამსახურებაა, რომ დღეს მოქალაქეს აქვს პოლიციელის იმედი. თუმცა, ადამიანების ვიწრო ჯგუფს, არ ესმის მნიშვნელობა, რატომ უნდა იყოთ თქვენ კიდევ უფრო ძლიერები. მინდა ვკითხო ამ ადამიანებს, რას აკეთებენ ჩვენი ქვეყნის გასაძლიერებლად? არაფერს! მათგან განსხვავებით, მეც, თქვენც, ერთად შეგვიძლია ვიამაყოთ ჩვენი მიღწევებით, დაუღალავი შრომით ქვეყნის გასაძლიერებლად. ჩვენ ასე გვესმის სახელმწიფოს ძლიერება, მშენებლობა. ეს გზა გაიარა ყველა ძლიერმა, წარმატებულმა ქვეყანამ მსოფლიოში და მე მინდა, რომ ეს გზა გავიაროთ ჩვენ ყველამ ერთად. მიგულეთ თქვენს რიგებში, როგორც ერთ-ერთი ყველაზე დიდი გულშემატკივარი, ვინაიდან კარგად ვიცი თქვენი მძიმე სამუშაო, რომელსაც ვაფასებ“.**

თანამშრომლებს იუბილე მიულოცა და წარმატებული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა **დავით ცინარიძემ.** მან სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას გარდაცვლილი პოლიციელების ხსოვნას პატივი მიაგო და საპატრულო პოლიციის წარმატებებზეც ისაუბრა: „საპატრულო პოლიციის მუდმივი განვითარება და სიახლეებისკენ სწრაფვა, ჩვენი მინისტრისა და შსს-ს თანადგომის შედეგია. მინისტრის მუდმივი თანადგომის შედეგია ჩვენი წარმატებული მუშაობაც. მინდა გაგახსენოთ ჩვენი პრემიერის სიტყვები: **„საპატრულო პოლიციის შექმნა ჩვენი ხალხის მონაპოვარია, მისი შენარჩუნება კი, თითოეული ჩვენგანის ვალია“. მართლაც, თითოეული თქვენგანის დამსახურებაა, რომ დღეს საპატრულო პოლიცია, გაცილებით ძლიერია, ვიდრე იყო“.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე ჭიკაიძემ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მამაცობისა და სხვა დამსახურებისთვის სპეციალური ჯილდოებითა და სიგელებით დაჯილდოვა. მედლით მამაცობისთვის დაჯილდოვდნენ: პოლიციის მაიორი ვახტანგ ანზორის-ძე ვარსიმაშვილი, რომელიც ოჯახში კონფლიქტური სიტუაციის განსამუხტად გამოძახებაზე მისული, მეუღლეზე და შვილზე აგრესიულად განწყობილმა მამაკაცმა ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა; პოლიციის კაპიტანი ვიქტორ როსტომის-ძე ჯაფარიძე, რომელმაც ერთ-ერთი კლინიკის რეანიმაციის განყოფილებაში გაჩენილი ხანძრიდან უვნებლად გამოიყვანა მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტები; პოლიციის მაიორი გიორგი აბესალომის ძე კოპალეიშვილი, რომელმაც მეწყვილესთან ერთად, ერთ-ერთი კლინიკის რეანიმაციის განყოფილებაში გაჩენილი ხანძრიდან უვნებლად გამოიყვანა მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტები; პოლიციის მაიორი კახაბერ ჯემალის ძე ჭიტაძე, რომელმაც მოქალაქე თბილისის ზღვაში დახრჩობას გადაარჩინა; პოლიციის კაპიტანი ხუზა ელგუჯას-ძე ჭანტურია, რომელმაც შემთხვევის ადგილზე ოპერატიულად დააკავა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში ბრალდებული პირები. ამ უკანასკნელებმა სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს; პოლიციის კაპიტანი ლევან გივის-ძე ბუიშვილი, რომელმაც საცხოვრებელი კორპუსის სარდაფში გაჩენილი ხანძრის შედეგად კვამლში გახვეული სადარბაზოდან უვნებლად გამოიყვანა 10 წლის ბიჭი და 12 წლის გოგონა; პოლიციის მაიორი ეკატერინე მურმანის ასული ერაძე და მისი მეწყვილე პოლიციის ლეიტენანტი ლევან ზაურის-ძე შენგელია, რომლებმაც ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ცეცხლმოკიდებული მანქანიდან მოქალაქეები უვნებლად გამოიყვანეს; პოლიციის ლეიტენანტი გიორგი თეიმურაზის-ძე მამუჩიშვილი. მან დააკავა ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებაში ბრალდებული პირები, რომლებმაც ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ცეცხლი გაუხსნეს. ასევე დააკავა ავტომანქანის გატაცებასა და ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვაში ბრალდებული პირები; პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ხვიჩა გელას-ძე ნავროზაშვილი, რომელმაც დააკავა ყაჩაღობაში და ავტომანქანის გატაცების მცდელობაში ბრალდებული პირები.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისთვის შს მინისტრმა „მადლობის სიგელით“ დააჯილდოვა: კაპიტანი ილია გევლონის-ძე სულაკაძე, რომელმაც გადაარჩინა, რიონში თვითმკვლელობის მიზნით გადამხტარი მოქალაქე; პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ნათია ელიზბარის ასული მარსაგიშვილი; პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ელენე მალხაზის ასული ჩაჩავა; პოლიციის კაპიტანი სალომე თეიმურაზის ასული ებანოიძე; პოლიციის უფროსი ლეიტენანტი მაკა შოთას ასული იონიანი.

ღონისძიებაზე სიტყვით ასევე გამოვიდა „ფორდის“ საწარმოს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის რეგიონული დირექტორი ვიქტორ მონლარი. ღონისძიებაზე საპატრულო პოლიციის ახალი ავტომანქანის „ფორდ ინტერსეპტორის“ პრეზენტაციაც გაიმართა. აღნიშნული ავტომანქანები სპეციალურად პოლიციისათვისაა შექმნილი, გათვალისწინებულია პოლიციის წარმატებული მუშაობისთვის ყველა საჭირო დეტალი და ელემენტი. ახალი სპეცმანქანა აღჭურვილია სხვადასხვა დამატებითი უსაფრთხოების მოწყობილობითა და სისტემით, რომელიც არ გააჩნია საქართველოში დღეს მოქმედ არცერთ სპეცავტომობილს. „ფორდ ინტერსეპტორი“ მაღალი გამძლეობით, უსაფრთხოებისა და მოძრაობის გაძლიერებული მახასიათებლებით გამოირჩევა.

ღონისძიების ბოლოს გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო საპატრულო პოლიციის ყოველდღიური მუშაობის ამსახველი ფოტომასალა და ვიდეორგოლები. სტუმრებს ასევე გააცნეს ის ცვლილებები და სიახლეები, რაც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა.

„ვერსიანიუსი“

პარლამენტმა პირველი მოსმენით ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის კანონპროექტი მიიღო

ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტს მხარი რესპუბლიკელებმა, თავისუფალმა დემოკრატებმა და ნაციონალებმა დაუჭირეს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

26 და 27 ნოემბერს ქუთაისის პარლამენტში დეპუტატები „მოსმენების“ შესახებ ორ კანონპროექტზე მთელი დღის განმავლობაში მსჯელობდნენ. მსჯელობისას, ყველანაირი ვადების ამოწურვის მიუხედავად, გვესმოდა ახალ-ახალი ინიციატივები, ერთი და იგივე კითხვები, პასუხები, არგუმენტები და კონტრარგუმენტები. სხდომაზე ისიც აღინიშნა, რომ ორივე, ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტისა და ხმალაძის ალტერნატიული პროექტის დამტკიცებაც, თეორიულად შესაძლებელია, რაც ქართული პარლამენტარიზმისთვის ნამდვილი ნონსენსი იქნებოდა და ნორმათა კოლიზიასაც გამოიწვევდა. ნონსენსი არ შედგა! პარლამენტმა, პირველი მოსმენით, ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის კანონპროექტს დაუჭირა მხარი.

სხდომაზე კიდევ ერთხელ განიმარტა, რომ უმრავლესობის სამეულის კანონპროექტით, ე.წ. ორგასაღებიანი სისტემა შემოდის, არსებულ კანონს ემატება ახალი ტერმინები და განმარტებები. კერძოდ, განსაზღვრულია უფლებამოსილი ორგანოს ცნება, იგივე „ოტო“. ასევე — ვადა: შს სამინისტროს, 2015 წლის მარტის ბოლომდე კონტროლის ელექტრონული სისტემის პროგრამული უზრუნველყოფა და აუცილებელი ტექნიკურ-ორგანიზაციული ღონისძიებების ჩატარება ევალება. საკითხზე დეპუტატებმა, 11:00 საათიდან ლამის 10-საათიან უწყვეტ რეჟიმში იმსჯელეს, თუმცა ბოლო წამამდე, კონსენსუსამდე ვერ მივიდნენ. საპარლამენტო მოსმენა „მოსმენებზე“ ეკა ბესელიას კანონპროექტით დაიწყო, რამაც ძირითადი დროის დიდი ნაწილი წაიღო. ბესელიამ ორგასაღებიან სისტემაზე კიდევ ერთხელ ისაუბრა და ის უმნიშვნელო ცვლილებებიც აღნიშნა, რაც კანონში საკომიტეტო მოსმენების შედეგად შევიდა. ნაციონალური მოძრაობიდან ჩიორა თაქთაქიშვილს, ხათუნა გოგორიშვილს, პავლე კუბლაშვილსა და აკაკი მინაშვილს, ძირითადად, ის აინტერესებდათ, რატომ არაა საუბარი კანონპროექტში კიბერდანაშაულზე. ოპონენტადქცეული შალვა შავგულიძის, თინა ხიდაშელისა და სხვა რესპუბლიკელებისა თუ თავისუფალი დემოკრატების მთავარი კითხვა კი ასეთი იყო — რატომ გაიმიჯნა ერთმანეთისგან ოტო და საგამოძიებო ორგანო, რომელს რა პასუხისმგებლობა აქვს და რატომ ვრცელდება ყველა შეზღუდვა და მაკონტროლებელი გარანტია მხოლოდ „საგამოძიებო უწყებაზე“? დეპუტატებმა უკმაყოფილება არც იმის გამო დამაღლეს, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადება, შსს-ს საკუთარი თავის საკონტროლებლად, თავადვე ევალება ისევე, როგორც ინტერნეტ-პროგრამის მომზადება, რომლითაც ელექტრონული კომუნიკაციები უნდა ამუშავდეს, მათ შორის, ინსპექტორის პროგრამაც. ბესელიამ კითხვებსა და შენიშვნებს უპასუხა და აღნიშნა, რომ მზადაა, ნებისმიერ კონკრეტულ შეთავაზებაზე იმსჯელოს, მათ შორის, ორგასაღებიანი კანონიდან ინსპექტორის გაყვანაზეც, თუ ეს ამ კანონისთვის ხმის მიცემის ერთადერთი ბარიერია. მანვე აღნიშნა მიახლოებითი, მინიმალური თანხა და დრო, რაც მისი პროექტის ასამუშავებლადაა საჭირო — 300 000 ლარი და 4 თვე. ბესელიას გამოსვლის შემდეგ, სიტყვა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს, ვახტანგ ხმალაძეს გადაეცა, როგორც კანონპროექტზე სავალდებულო დასკვნის ავტორს და მანაც დეპუტატებს საკუთარი კომიტეტის შენიშვნები გააცნო. შენიშვნებით, მან ფაქტობრივად, რესპუბლიკელებისა და ირაკლი ალასანიას გუნდის კითხვები და პრეტენზიები გაიმეორა. ამის შემდეგ შალვა შავგულიძემ ბესელია-ფოფხაძის კანონპროექტს 1-ელ აგვისტოს მიღებულ დოკუმენტთან შედარებით უკან გადადგმული ნაბიჯი და რევანშისტული კანონი უწოდა, რომელშიც შსს-ს სურვილები „შემოაპარეს“. თინა ხიდაშელმა კი, პოლიტიკური განცხადებაც გააკეთა და კონკრეტული შეთავაზებაც გაახმოვანა — აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, რესპუბლიკური პარტია არსად მიდის და კოალიციის შიგნით, ერთობლივი ღირებულებების დასამკვიდრებლად ბოლომდე იბრძოლებსო. ხიდაშელის ადრესატები ნაციონალები იყვნენ, რომლებიც აღტაცებით აღნიშნავდნენ, „მოსმენების“ საკითხში ჩვენი, რესპუბლიკელებისა და ალასანიას თანაგუნდელების ხედვა ერთმანეთს დაემთხვაო. ხიდაშელის შეთავაზება კი ორპუნქტიან კანონპროექტს ეხებოდა, რომლის მიხედვით, 1 მარტამდე უნდა მიიღონ პაკეტი და 1 ივნისიდან შსს-მ ყველა ფარული მიყურადება მხოლოდ ელექტრონული ავტორიზაციის შემდეგ განახორციელოს. ხიდაშელის აზრით, მთავარია, შეთანხმდნენ პრინციპზე, რომ ე.წ. გასაღები შსს-დან გადის. მას სწრაფად დაეთანხმა ნაციონალი კუბლაშვილიც და რესპუბლიკელი ქალბატონის შეთავაზებას შეთავაზებით უპასუხა: საპარლამენტო ნდობის ჯგუფი ე.წ. მოსმენების შავ ყუთთან შევიდეს და ნახოს, ახალი ტექნოლოგიებით კიდევ უფრო მეტ ადამიანს უსმენს შსს, თუ არაო. კუბლაშვილის გამოსვლამ უმრავლესობის წევრი გიგლა აგულაშვილი შექსპირის ხასიათზე დააყენა. „რომეო და ჯულიეტადან“ ფრაზა, „თუ დამზრახავენ, დაე, გაწითლდეს ჩემს მაგივრად ჩემი ნიღაბი“, გაიხსენა და კუბლაშვილს გაწითლების უნარდაკარგული უწოდა. უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი, გია ვოლსკი კი არც ხუმრობის ხასიათზე ჩანდა, არც — პოეზიის, რესპუბლიკელებს ხისტად გამოუცხადა, კი დაგვამშვიდეთ, რომ ჩვენთან რჩებით, მაგრამ ნაციონალებთან ერთად საუბრობთ და ხმასაც ერთსა და იმავე კანონს აძლევთო. ამის მერე, დეპუტატებმა ხმალაძის კანონპროექტს ძალიან სწრაფად მოუსმინეს, რომლის მიხედვით, გასაღები შსს-ს არ უნდა ჰქონდეს და ეროვნული კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიას უნდა გადაეცეს. ხმალაძემ გამოსვლა ასეთი ტექსტით დაასრულა: „ვინც თანახმაა, თავისუფლება უსაფრთხოებაში გაცვალოს, არც ერთს არ იმსახურებს!“ ამასობაში, დეპუტატებმა შესვენების გამოცხადება-არგამოცხადების თემაზეც იჩხუბეს და საფინალო სიტყვის შემდეგ, ეკა ბესელიამ მურმან დუმბაძესთან სიტყვიერი დაპირისპირებაც მოასწრო. მერე, ნანატრი კენჭისყრაც დაიწყო და თვალებგაბრწყინებულმა უსუფაშვილმა აღნიშნა, 2012 წლის 21 ოქტომბრის მერე ამდენი ხალხი ამ დარბაზში არ მინახავს, გიყურებთ და გულს უხარიაო. რეგისტრაციაზე რიხინ-რიხინით გავიდა ბიუჯეტის თანმდევი კანონები, ცვლილებები თვითმმართველობის კოდექსში და ა.შ. როგორც იქნა, ბესელია-სესიაშვილი ფოფხაძის კანონმა, პირველ მოსმენაზე, კენჭისყრით, 75 ხმა მიიღო. 58 ადამიანი იყო წინააღმდეგი, შესაბამისად, კანონი გავიდა და კვორუმს 7 ხმით გადააჭარბა.

ვახტანგ ხმალაძის პაკეტმა, რომელშიც 2 პროექტი იყო, 61 ხმა მიიღო, კვორუმი აქაც 68 ხმა იყო და ხმალაძის პროექტის დამტკიცებას ზუსტად 7 ხმა დააკლდა. ხმალაძეს მხარი რესპუბლიკელებმა, ნაციონალებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა დაუჭირეს.

„დელეგაციას მანანა კობახიძე ხელმძღვანელობდა და მიხეილ მაჭავარიანთან ერთად ივახშმა კიდეც...“

რა პოლიტიკური დატვირთვა მიიღო „მოსმენების“ კანონმა და დატოვებენ თუ არა კოალიციას რესპუბლიკელები

ერუსუდან შელია
557-100-768

პარლამენტმა პირველი მოსმენით ბესელია-სესიაშვილი-ფოფხაძის კანონპროექტს დაუჭირა მხარი. რა პოლიტიკური დატვირთვა შეიძინა „მოსმენების კანონმა“, გადავა თუ არა ოპოზიციაში რესპუბლიკური პარტია, რომელი სახელმძღვანელოების წაკითხვას ურჩევს ეკა ბესელიას და რატომ შეხვდნენ ნიუ იორკში რესპუბლიკელი, ნაციონალი და „თავისუფალი დემოკრატი“ ქალბატონები ერთმანეთს? მიმდინარე პროცესებს „ვერსიასთან“ საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლევან ბერძენიშვილი აფასებს.

— ბატონო ლევან, ე.წ. მოსმენების კანონპროექტის განხილვა წელიწადნახევრის წინ დაიწყო. დღეს რატომ გახდა ვახტანგ ხმალაძის ინიციატივა და, ზოგადად, ეს კანონი, რესპუბლიკელებისთვის ასე მნიშვნელოვანი?

— დიახ, მოსმენების შესახებ კანონი აგვისტოში მივიღეთ და მხოლოდ ჩვენ კი არა, დასავლეთმაც მოიწონა, მაგრამ ამის შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მასთან ერთად, ხელისუფლების ნაწილმა ჩათვალა, რომ დემოკრატიის განვითარებაზე ზრუნვის ნაცვლად, უსაფრთხოებისკენ გადახრა სჯობს.

— უსაფრთხოების გარეშე დემოკრატიის მშენებლობა როგორ წარმოგიდგენიათ?

— რესპუბლიკელები ბალანსის დაცვას ვემხრობით — დემოკრატიაცა და უსაფრთხოებაც უნდა განვავითაროთ. ვიღაც რომ გვეტყვის, უსაფრთხოება დემოკრატიის ნაწილიაო, მაპატიოს, მაგრამ სახელმძღვანელოები გადაშალოს და ჩაიხედოს. რაღაცები ჩვენც ვიცით, რაღაც წაგვიკითხავს და რაღაცას წარმოვადგენთ კიდეც... ამიტომ ვისაც რა სურს, იმას ვერ ილაპარაკებს. პრობლემა სწორედ ისაა, რომ ადამიანები ასეთ სისულელეებს ამბობენ.

— ღიად ვისაუბროთ, ეკა ბესელიას გულისხმობთ, არა?

— დიახ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეკა ბესელიამ ადამიანის უფლებები არასწორად წარმოგვიდგინა...

— შევთანხმდეთ, რომ ნებისმიერი კანონპროექტის მიღებისას უკანონო თუ კანონიერ მოსმენებს ვერავინ აკრძალავს და კონტროლიც გაუჭირდება, ამიტომ პარლამენტში დავა პოლიტიკურ სპეკულაციას უფრო და უფრო ემსგავსება.

— ვახტანგ ხმალაძის ინიციატივის მოწონების შემთხვევაში, თუ საზოგადოებაც ამას მოინდომებს, კონტროლის მეტი შესაძლებლობა გაჩნდება. თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ რატომ ვიღებთ საერთოდ კანონებს, როცა წინასწარ ვიცით, ადამიანებს მაინც დახოცავენ ან გააუპატიურებენ? ჩვენი მიზანია, მსგავსი ფაქტები შემცირდეს!

— კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიისთვის მეორე „გასაღების“ გადაცემა ამის გარანტი იქნებოდა?

— მთავარია, შსს-ს ეცოდინება, რომ მისი მაკონტროლებელი ორგანო გარეთაა და არა პრემიერის დაქვემდებარებულ რომელიმე უწყებაში.

— თუ თავიდანვე იყო ცნობილი, რომ პერსონალური დაცვის ინსპექტორი პრემიერის დაქვემდებარებაში იქნებოდა, მხარი რატომ დაუჭირეთ?

— ქალბატონი ქალდანისადმი ნდობა არ ნიშნავს, რომ მას განათლების ან კულტურის საკითხების შესრულებაც უნდა დაეკისროს. გასაღები, ანუ მოსმენებზე თანამონაწილეობა, პერსონალური დაცვის მაკონტროლებელს როგორ შეიძლება ჰქონდეს, საკუთარ თავს გააკონტროლებს? რაც მთავარია, თამარ ქალდანი თავადაა წინააღმდეგი, „გასაღები“ გადაეცეს, თორემ რესპუბლიკელებს მასთან პრობლემა არ გვაქვს, ვიცით, დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს და არ გვინდა, ეს სტრუქტურაც გავაფუჭოთ. საბედნიეროდ, ლევან იზორიას მიერ დაწერილ მოსმენების კანონზე მან ყველაფერი თავადაც მშვენივრად გაიგო.

— როგორ ამტკიცებთ, რომ ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილს კანონპროექტი იზორიამ დაუწერა?

— ფილოლოგი ვარ და კარგად ვცნობ ადამიანების წერის მანერას. ლევან იზორიასთან პრობლემა არ მაქვს, იგი არავისზე ნაკლები იურისტია, წერაც, არა მგონია, შეურაცხმყოფელი იყოს. შეურაცხმყოფელი ის უფროა, კანონპროექტს სხვა რომ დაწერს და შენი სახელით გაგაქვს.

— პოლიტიკურად როგორ ხსნით, რომ „გასაღებზე“ არასამთავრობო ორგანიზაციების უარის შემდეგ, ნაციონალები და თავისუფალი დემოკრატები მხარს რესპუბლიკელების ინიციატივას უჭერენ?

— ხმალაძის პროექტი ვერ გაფუჭდება იმის გამო, რომ მხარს ნაციონალები უჭერენ. რესპუბლიკელების ინიციატივას „ქართული ოცნების“ წევრებიც, მათ შორის, თამარ კორძაია და ანი მიროტაძეც უჭერენ?! ასე რომ, ეს არგუმენტი არ გამოდგება. მიუხედავად ამისა, პროცესებს ფხიზლად ვუყურებთ და ილუზიებში არ ვართ. მაღალი ალბათობით, პარლამენტში ბესელიას პროექტი გავა. ამის შემდეგ ბურთი პრეზიდენტის ხელში გადადის და საბოლოო სიტყვასაც სხვა ინსტიტუცია ამბობს.

— ფიქრობთ, პრეზიდენტი კანონპროექტს ვეტოს დაადებს?

— მარგველაშვილთან კონსულტაციები არ გვქონია, მაგრამ, როგორც მეგობრები გვეუბნებიან, პრეზიდენტი კანონპროექტს ვეტოს არ დაადებს.

— თქვენ ადგილს უმრავლესობაში ხედავთ თუ ახლა ფონს იქმნით კოალიციის დასატოვებლად?

— რესპუბლიკელებს თანამშრომლობის კულტურაცა და მოთმინებაც საკმარისად გვაქვს, ასე რომ, პრობლემა ჩვენთან არ არის. თანაც პარლამენტში კამათი და აზრთა გაცვლა, ნორმალურია. კრიზისის ნიშნებს ვერ ვხედავ, კოალიციის დაშლაზე კი, ის ხალხი საუბრობს, რომლის ინტერესებშიც ეს შედის. მინდა, ყველა დავამშვიდო, რომ კოალიცია დაიშლება მხოლოდ მაშინ, როცა მასში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები ჩათვლიან საჭიროდ. ვიღაც სადღობელაშვილი, რომელიც სისულელეებს წერს, კოალიციის წევრი არ არის. ხელოვნური წარმონაქმნია, რომელიც, სავარაუდოდ, სხვების დავალებას ასრულებს. პარლამენტში განსახილველად მხოლოდ ერთი კანონპროექტი რომ დარჩენილიყო და ხმალაძის ინიციატივის განხილვაზე უარი ეთქვათ, კრიზისი მაშინ იქნებოდა.

— ეს „ქართული ოცნების“ ლიდერების მისამართით მუქარაა?

— არა. კოალიციის ბედი რომელიმე კანონის მიღება-არმიღებაზე დამოკიდებული არ არის. მერწმუნეთ, თუ რესპუბლიკელები კოალიციის დატოვებას დავაპირებთ, ამას კონსპირაციულად, სადღობელაშვილს არ შევატყობინებთ. ლაპარაკი ვიცით და თავად ვეტყვით საზოგადოებას. არ ვართ ის ძალა, რომელსაც კოალიცია არ მოსწონს, ამიტომ გაერთიანებაში ვრჩებით.

— არადა, სოციალურ ქსელში ვრცელდება ნიუ იორკში შეხვედრის ფოტოები და ინფორმაციაც, რომ ხათუნა გოგორიშვილის ორგანიზებით დაგეგმილ შეხვედრაზე რესპუბლიკელებისა და თავისუფალი დემოკრატების წევრმა ქალბატონებმა საპარლამენტო გადატრიალების გეგმა შეიმუშავეს.

— სერიოზული ამბავია... ფოტოების ისტორიას მოგიყვებით: ქალბატონები ვაშინგტონსა და ნიუ იორკში IRI-ს მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე იმყოფებოდნენ. ვინც ინფორმაცია გაავრცელა, უნდა იცოდეს, რომ ფოტოები სოციალურ ქსელში ქალბატონებმა თავად გაავრცელეს. საიდუმლო შეხვედრა რომ ყოფილიყო, თამარ კორძაია ამ ფოტოს არ დადებდა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ქალი მხოლოდ „ქართული ოცნების“ წევრი უნდა იყოს და ხათუნა გოგორიშვილი არ შეიძლება ქალი იყოს, მწარედ ცდება. თუ ასე ვიმსჯელებთ, ყველანი ერთ დარბაზში ვსხედვართ, ერთ ღონისძიებებში ვმონაწილეობთ. ამ ქალბატონებმა ერთად მიირთვეს სადილი, ასეთი იყო IRI-ს ჩანაფიქრი, მერე რა მოხდა?! მეც ვყოფილვარ დელეგაციაში, მაგალითად შვედეთის მეგობრობის ჯგუფში, სადაც ჩემთან ერთად ნაციონალებიც იყვნენ. სხვათა შორის, ამ დელეგაციას მანანა კობახიძე ხელმძღვანელობდა და მიხეილ მაჭავარიანთან ერთად ივახშმა კიდეც. ამიტომ ვთქვათ, რომ კობახიძე მაჭავარიანთან შეკრულია?

— თქვენი პარტიის წევრ მინისტრს, პაატა ზაქარეიშვილს, განცხადებების გამო, რუსეთის აგენტობა დაბრალდა. თქვენც ფიქრობთ, რომ აფხაზეთისა და რუსეთის შეთანხმების პროექტის ხელმოწერა ხელისუფლების წარმატებული პოლიტიკის შედეგია?

— აფხაზეთის საკითხმა 2008 წელს არასასურველი მიმართულება მიიღო. მანამდეც ომი წავაგეთ... არასერიოზულია, აფხაზეთის დაკარგვის პერსპექტივა კოალიციას დააბრალო. ხელისუფლებასთან პოლიტიკური კრიტიკის მომხრე ვარ, მაგრამ გიორგი ბარამიძის დემაგოგიას ვერ გავიზიარებ, რომელიც საქართველოს დსთ-დან გამოყვანის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. ნაციონალებს მხოლოდ ვიწრო პოლიტიკანური ამოცანები აქვთ. სამწუხაროდ, დღეს აფხაზეთის ბედი პარლამენტში ან თუნდაც საქართველოში არ წყდება. ეს პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის დონეზეა გადასაჭრელი. რაც შეეხება ზაქარეიშვილის განცხადებას, როგორც გავიგე, აღნიშნა, რომ პროცესი საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ დაჩქარდა. თუ ვინმე ფიქრობს, აფხაზეთის პროექტზე ხელმოწერით კმაყოფილები ვართ, მასთან საუბარიც მეზარება. პაატა ზაქარეიშვილს დიდი ხანია ვიცნობ და მისით მთელი ცხოვრება აღფრთოვანებული ვარ — ჩემი აზრით, არასწორი ნაბიჯი არასოდეს გადაუდგამს.

ვერსიანიუსი

საქართველოსა და ლატვიის პრეზიდენტებმა ბათუმში მეზღვაურთა სასწავლო ცენტრი გახსნეს

პრეზიდენტებმა გარემონტებული ოთახები დაათვალიერეს და საქართველოს საზღვაო საქმეში შეტანილი წვლილისთვის ლატვიის სამხედრო ფლოტის ადმირალის თედოს სპადეს სახელობის მემორიალური დაფა გახსნეს.

„ახალი ცენტრის გახსნა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გადამზადებას და განვითარებას. მიხარია, რომ ბათუმში განახლებული საზღვაო ცენტრი გაიხსნა, რომელიც მჭიდროდ ითანამშრომლებს ლატვიასთან, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში. გავხსენით ადმირალ თედოს სპადეს მემორიალური დაფა, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს საზღვაო საქმეში. გავაფორმეთ მემორანდუმი, რომლითაც ქართველ მეზღვაურებს მიეცემათ საშუალება გაცვლით პროგრამებში მიიღონ მონაწილეობა“, — განაცხადა მარგველაშვილმა.

„პირველი“

შსს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალურ კამპანიას აგრძელებს

ამჯერად, კამპანიის ფარგლებში, შეხვედრა 123-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებთან გაიმართა. ახალგაზრდებს შსს-ს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სპეციალურად შექმნილი ერთობლივი სამუშაო ჯგუფის წევრები – შსს-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის პროექტების მართვის სამმართველოს უფროსი მაკა ფერაძე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის უფროსი ნინო კვიტაიშვილი, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ეკა კენჭაძე ესაუბრნენ. სამუშაო ჯგუფის წევრებმა სკოლის მოსწავლეებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანიის მიზანი და მნიშვნელობა გააცნეს. მოსწავლეებმა ასევე დეტალური ინფორმაცია მიიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით კანონში შესულ ცვლილებებზე. 2013 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მოხდა ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია. კანონში შესული ცვლილებების მიხედვით, ოჯახში ძალადობა თავისუფლების 1 წლამდე აღკვეთით ისჯება. შეხვედრაზე კამპანიის ფარგლებში შექმნილი სოციალური რგოლების ჩვენებაც გაიმართა. რგოლების მიზანია საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდოს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შემთხვევაში უნდა დარეკონ ცხელ ხაზზე: „112“ ან მიმართონ უბნის ინსპექტორს, მოძალადეებმა კი მიიღონ გაფრთხილება, რომ ოჯახში ძალადობა თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

შსს-მ, სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სოციალური კამპანია „არა ძალადობას!“ 25 ნოემბერს დაიწყო. კამპანიის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობის შესახებ და ამ პრობლემის დასაძლევად საზოგადოების ჩართულობის აუცილებლობის ხაზგასმა.

„ვერსიანიუსი“

„გასაღები“ შსს-ს უნდა გადავცეთ, რათა იგი კანონისა და პასუხისმგებლობის ჩარჩოში მოვაქციოთ“

რას სთავაზობს მამუკა არეშიძე „მოსმენების“ კანონპროექტის ავტორებს უმრავლესობიდან და არასამთავრობოებს

ნინო კომახიძე
599-95-33-16

არასამთავრობო სექტორი ე.წ. მოსმენების შესახებ კანონის ფორმირებაში აქტიურად რომაა ჩართული და ამ თემაზე საკუთარი პროექტიც მოამზადეს, საყოველთაოდ ცნობილია. ცნობილია ისიც, რომ მათი პროექტით, ფარული მოსმენების ტექნიკური საშუალებები ანუ ე.წ. გასაღები კერძო კომპანიებს, პროვაიდერებს უნდა ჰქონდეთ. თუმცა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ასე არ ფიქრობს. სტრატეგიული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელს, ექსპერტ მამუკა არეშიძეს საკუთარი შეთავაზებაც აქვს უმრავლესობის ე.წ. ორგასაღებიან პროექტზე და მიაჩნია, რომ, რაც მეტ ვალდებულებას აიღებს საკუთარ თავზე შინაგან საქმეთა სამინისტრო, მით მეტი იქნება მასზე საზოგადოების კონტროლი, შეცდომების რისკი კი — ნაკლები.

— ამ მოვლენებში, ჩემთვის მნიშვნელობა იმ ორგანიზაციის პასუხისმგებლობას აქვს, ვისაც ეს გასაღები აბარია. საქართველო ჯერ ბოლომდე ჩამოყალიბებული სახელმწიფო არაა და ქვეყანაში არც ევროპული დემოკრატია გვაქვს, ამიტომ მიმაჩნია, ამ ეტაპზე, ფარული მოსმენების უფლება იმ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს, რომელსაც ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე მაღალი პასუხისმგებლობა აქვს.

— ასეთი შინაგან საქმეთა სამინისტრო?

— რა თქმა უნდა... თუმცა ავიღოთ სხვა ვარიანტი — შეიძლება, გასაღები პროვაიდერსაც ჰქონდეს და მსგავსი პრაქტიკა დასავლეთშიც არსებობს, მაგრამ ბოლოს ყოველთვის სკანდალების მთელ სერიას ვიღებთ.ასეთი რამ საბერძნეთში მოხდა, სადაც ერთ-ერთი კერძო პროვაიდერის ყველა თანამშრომელი უსმენდა ყველას, ვისი მოსმენაც არ ეზარებოდა. მეტიც, ხომ შეიძლება, უცებ, შს სამინისტროს რომელიმე ფარულმა ჯგუფმა შექმნას და მართოს კერძო პროვაიდერი და ყველას ასე უსმინოს? ამ კომპანიას შსს თავისი თანამშრომლებით გაავსებს, მაგრამ გვეცოდინება, რომ ე.წ. გასაღები ქვეყანაში პროვაიდერს აქვს და არა შსს-ს. მერე ვის მოვთხოვოთ პასუხი, ვიღაც პროვაიდერს თუ კონკრეტულ პიროვნებებს? მთავარი კითხვაც ესაა — ვის უნდა მოვთხოვოთ პასუხი მოვლენების განვითარებაზე.

— მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტი ისაა, რომ შსს-ში სხვა საფრხთეებიცაა — კომპრომატების შენახვა და პოლიტიკურ ბრძოლაში გამოყენება.

— რასაკვირველია, შსს-შიც უამრავი საფრთხეა და მარტო შსს-ს ნდობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ამიტომ მომწონს ორგასაღებიანი სისტემა და მიმაჩნია, რომ მეორე „გასაღები“ ასევე მაღალი პასუხისმგებლობისა და სანდოობის მქონე ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს. კონკრეტულად, სად იქნება, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს — ვინც ამ „გასაღებს“ საზოგადოებისა და ხელისუფლების კონსენსუსის შედეგად მიიღებს, იმას ჰქონდეს. ამ თემაზე კომიტეტის სხდომებსაც ვესწრებოდი, როგორც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელი და დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ხალხი, უბრალოდ, დროს ატარებს. არგუმენტები, რაც უმრავლესობის პროექტის საწინააღმდეგოდ მოვისმინე, ის იყო, თუ რა ცუდად იქცეოდა ნაციონალური მოძრაობის დროს შსს, მთელი 9 წლის განმავლობაში. ჰოდა, შემდგომი 90 წლის განმავლობაშიც ასე რომ არ მოიქცეს, ამიტომ უნდა შეიქმნას კონტროლის ეფექტური მექანიზმები, ამ მაკონტროლებელ ორგანოში კი სერიოზული საზოგადოებრივი წარმომადგენლობა გვყავდეს. როგორც ჩანს, მსჯელობის რეალური საგანი სწორედ ეს ორგასაღებიანი სისტემაა, სადაც მაკონტროლებელი პირი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორია. თუ ასეა, მაშინ მას ფუნქციები უნდა გაუზარდონ და არც იმას გამორიცხავ, ამ ინსტიტუტის მუშაობაში საზოგადოებრივი ჯგუფი ჩაერთოს.

— დააკონკრეტეთ, რას გულისხმობთ — ეს თქვენი შეთავაზებაა?

— პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექციაში, შესაძლოა, როტაციის პრინციპით, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა იმუშაონ. სამი თვის განმავლობაში ერთი ჯგუფი მუშაობდეს, პირობითად, სამკაციანი, მომავალი სამი თვე — სხვა ჯგუფი... ასე შსს-ს, მაკონტროლებელ ინსპექტორთან ერთად, თავად საზოგადოებაც გააკონტროლებს.

— შეძლებს კი ინსპექტორი დამოუკიდებლობის შენარჩუნებას?

— თუ არ შეუძლია, მაშინ უნდა წავიდეს და ვინმე ისეთი მოვიდეს, ვინც ამ ზეწოლას გაუძლებს. თუმცა საკითხს თუ ასე დავსვამთ, მაშინ ვინ შეძლებს, გაუძლოს ზეწოლას, პროვაიდერი? თან ჩვენი უსაფრთხოებაც არაა დაცული. აქ უამრავი სხვა ქვეყნის სპეცსამსახური მუშაობს. მით უმეტეს, დღითიდღე ძალას იკრებს რუსეთის და მეორე მხრივ, პოლიტიკური ისლამის წარმომადგენელთა აგენტურა.

— და ეს ორივე წარმომადგენლობა პროვაიდერთა შორის გვყავს!

— ასეა და როგორ გინდა, ახლა ესენი არჩიო ან აკონტროლო? ეს ნიშნავს, საქართველოს უსაფრთხოების ისედაც სუსტი სისტემა საძებრად ქვიშაში გაუშვა. თუ ჩვენს შს სამინისტროს არ ვენდობით, მაშინ დავანებოთ თავი მოსმენებს და პროვაიდერებს და ჯერ სამინისტროს მივხედოთ. თუ ვენდობით, მაშინ ასე არ უნდა ვსაუბრობდეთ. საკუთარი ქვეყნის სისტემის მიმართ ასეთი უნდობლობა არ შეიძლება. რომ გაიძახიან, შსს 9 წლის განმავლობაში ცუდად იქცეოდაო, მაშინ უკონტროლო იყო, ახლა კი კონტროლის სისტემა იქმნება — მარტივად რომ წარმოვიდგინოთ, შსს ხელს მოსმენების ღილაკს რომ დააჭერს, თუ ამ ღილაკს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორიც არ ჩართავს, ვერავის მოუსმენენ. ახლა თუ არავის ვენდობი, მაშინ მივუშვათ პროცესები დინებაზე და ვაკრიტიკოთ ყველა და ყველაფერი.

— შესაძლოა, გარკვევით არ ამბობენ, რა საფრთხეების წინაშე ვდგებით, თუ გასაღები შსს-ს არ ექნება. ბოლობოლო, საქართველო დღესაც ანექსიის მსხვერპლია!

— უკანონო მოსმენა ქვეყნისთვის საფრთხისშემცველია. პროვაიდერების მაგალითმა კი საბერძნეთში უკვე გვაჩვენა, რომ შეიძლება, ამ სისტემამ არ გაამართლოს. მეორე მაგალითსაც გეტყვით, გერმანია ხომ ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფოა — იქ ე.წ. გასაღები პროვაიდერს აქვს, სამაგიეროდ, გერმანიის ხელისუფლება, ცოტა ხანში, იძულებული გახდა, ეს პროვაიდერი საკუთარი უშიშროების თანამშრომლებით გაეკონტროლებინა. საფრანგეთი კი მიხვდა, რომ გასაღები პროვაიდერს აღარ უნდა ჰქონდეს და 2015 წლიდან გასაღებს შსს-ს უბრუნებს. ამიტომ ამ დღეებში რა არგუმენტებსაც ვისმენ, ოპოზიციისგან პოლიტიკური ბრძოლის ფორმატია და სხვა არაფერი.

— რესპუბლიკელებმა და თავისუფალმა დემოკრატებმა ხმა ვახტანგ ხმალაძის პროექტს მისცეს. შეიძლება, ამას პოლიტიკური ინტერესები შეეწიროს და კოალიცია მართლა დაიშალოს?

— არა მგონია, კოალიცია ამის გამო დაიშალოს. აქ უფრო მუნდირის ღირსების დაცვის მომენტია. საქმე ისაა, რომ ძირითადი კანონპროექტის ავტორები არგუმენტებს დაბეჯითებით არ გვეუბნებიან. ამ საფრთხეების შესახებ, კანონის ავტორები, სესიაშვილიცა და ბესელიაც იძულებულნი არიან, ნახევრადღიად ილაპარაკონ. მე კი ვფიქრობ, ასეთ დროს ეს კომიტეტის სხდომა უნდა დახურონ და თქვან, სინამდვილეში რა ხდება, რა სამსახურები და საქმეები მოქმედებს ქვეყანაში. შესაძლოა, ამ არგუმენტებმა უფრო გაჭრას. კონკრეტულ მაგალითსაც გეტყვით და იძულებული ვარ, ფრჩხილები ცოტათი გავხსნა. იცით, როგორ მიჰყავთ საქართველოდან ახალგაზრდა მუსულმანები უცხოეთში, აჭარიდან დაწყებული, დედოფლისწყაროთი დამთავრებული?! ეს მთელი სპეცოპერაციაა — მათ ჯერ არჩევენ, მერე სწავლობენ, მერე მათ შორის საუკეთესოს ირჩევენ. ეს ყველაფერი კი სწორედ ამ ტიპის ელექტრონული კომუნიკაციებით, პირადი მიმოწერითა და სატელეფონო საუბრების მოსმენით დგინდება.

— ვინ უსმენს?

— ვისაც ეს აპარატურა აქვს. გგონიათ, მარტო პროვაიდერს ექნება ეს აპარატურა საქართველოს ტერიტორიაზე? ისიც ზუსტად შემიძლია გითხრათ, როგორ მოუსმინეს ბიძინა ივანიშვილს 24, თუ 25 ივნისს, როცა ახალციხის თემაზე საუბრობდა.

— ასეთი აპარატურის შეძენა მე და თქვენც შეგვიძლია — რას აკეთებს ამ დროს უშიშროება?

— ჰოდა, ამიტომაა ამ საკითხზე ამდენს რომ ვსაუბრობ, თორემ რა ჩემი საქმეა მოსმენები და „ორი გასაღები“. უშიშროების საკითხებზე ვმუშაობ და სწორედ ამიტომ შედის ჩემი ინტერესების სფეროში, მოსმენებზე წვდომა მაღალი პასუხისმგებლობის მქონე უწყებას ანუ შსს-ს ჰქონდეს. თუ შს სამინისტროს ბოლომდე ვერ ვენდობით, ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით, მაშინ იგი სწორედ ადამიანური რესურსებით უნდა ვაკონტროლოთ გარედან. რაკი მას ექნება ეს პასუხისმგებლობა, შედეგებსაც მას მოვკითხავთ. სწორედ „გასაღების“ გადაცემით, შსს, ერთი მხრივ კანონის, მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის ჩარჩოში უნდა მოვაქციოთ.

ვერსიანიუსი

სანდრო გირგვლიანის საქმეზე მიხეილ სააკაშვილი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიეცა

პროკურორ კოკა კაციტაძის ინფორმაციით: „მთავარმა პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება, ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის საქმეზე, საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრალდების შესახებ.

გამოძიების შედეგად დადგენილია — საქმე გვაქვს სისტემურ დანაშაულთან.

კერძოდ, ალექსანდრე გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დაფარვა, გამოძიების გაყალბება, დანაშაულში ჩართული მაღალი თანამდებობის პირებისთვის ხელის დაფარება და მათთვის პასუხისმგებლობის თავიდან არიდება განხორციელდა სახელმწიფო უწყებების და მათი ხელმძღვანელი პირების: შს მინისტრის ივანე მერაბიშვილის, კუდ-ის დირექტორის დავით ახალაიას, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის ბაჩანა ახალაიას, გენერალური პროკურატურის და საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის კოორდინირებული და ურთიერთშეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად.

სისტემური დანაშაული გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის 27 იანვარს, თბილისში, „შარდენბარში“, გირგვლიანს სიტყვიერი შელაპარაკება მოუხდა შს მინისტრის, მერაბიშვილის მეუღლის, თამარ მერაბიშვილისა და კუდ-ის უფროსის, დავით ახალაიას სუფრის წევრ თათია მაისურაძესთან, რის გამოც ახალაიას დავალებით, ადგილზე გამოძახებულმა კუდ-ის თანამშრომლებმა, გირგვლიანი და მისი მეგობარი ძალით ჩასვეს ავტომანქანაში, გაიტაცეს ოქროყანის სასაფლაოზე, გააშიშვლეს ყინვაში და სასტიკად სცემეს. გირგვლიანის გვამი ოქროყანის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაზე დააგდეს.

საქმით დაინტერესდა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. მერაბიშვილსა და ახალაიებთან ურთიერთშეთანხმებულად დაიგეგმა და მათზედ დაქვემდებარებული სახელმწიფო უწყებების გამოყენებით განხორციელდა დანაშაულებრივი ქმედებები გირგვლიანის მიმართ ჩადენილი დანაშაულის დასაფარად, სისხლის სამართლის საქმის ფალსიფიკაციისა და საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად. მერაბიშვილმა საქმის გამოძიების ხელმძღვანელობა დაავალა დანაშაულის ორგანიზატორ დავით ახალაიას და გამოძიება მიკერძოებულად წარიმართა. დავით ახალაიამ 2006 წლის თებერვლის მეორე ნახევარში, გატაცებაში მონაწილე პირებს მოსთხოვა, თავის თავზე აეღოთ პასუხისმგებლობა. სანაცვლოდ, მსუბუქი ბრალდებით გასამართლებას და პრეზიდენტის შეწყალებით მალე გათავისუფლებას, პატიმრობისას კი, ოჯახური ყოფითი პრობლემების მოგვარებას, სოლიდურ ფულად თანხებს და სხვა შეღავათებს დაპირდა. მალე პროკურატურაში გადაწყდა, რომ პასუხისგებაში უნდა მიცემულიყო შსს-ს ერთ-ერთი მაღალჩინოსანი გერონტი ალანიაც. სააკაშვილი დაპირდა მათ, რომ შეიწყალებდა. 2006 წლის 6 მარტს, საჯაროდ გაცხადდა, თითქოს დავით ახალაის უშუალო ძალისხმევით გამოვლინდნენ გირგვლიანის მიმართ ჩადენილ დანაშაულში მონაწილე პირები: გერონტი ალანია, ალექსანდრე ღაჭავა, მიხეილ ბიბილურიძე და ავთანდილ აფციაური, რომლებიც დაკავებულ იქნენ ალექსანდრე გირგვლიანის სასიკვდილო შედეგით ჯანმრთელობის დაზიანების და თავისუფლების უკანონო აღკვეთის ბრალდებით. სასამართლომ ისინი დამნაშავეებად ცნო ჯანმრთელობის დაზიანების, თავისუფლების უკანონო აღკვეთის და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისათვის. ისინი დააპატიმრეს და სარგებლობდნენ კანონით აკრძალული შეღავათებით. მათ ასევე გადაეცათ 100-100 ათასი აშშ დოლარი. 2008 წლის 24 ნოემბერს, სააკაშვილმა შეიწყალა და სასჯელი გაუნახევრა მსჯავრდებულებს.

საქმეზე გრძელდება გამოძიება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მუხლით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასჯელად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3-დან 5 წლამდე ვადით“.

„პირველი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რკინიგზელები მასობრივი გაფიცვით იმუქრებიან

რა სარკინიგზო შემთხვევები გამოიწვია პროტესტმა, ვის ეკისრება პასუხისმგებლობა და რას ითხოვენ გაფიცულები

26 ნოემბერს, 10:00 საათიდან, „საქართველოს რკინიგზის“ თანამშრომელთა დიდი ნაწილი გაიფიცა. საქართველოს რკინიგზელთა ახალი პროფესიული კავშირის წარმომადგენლის, ილია ლეჟავას განცხადებით, თბილისის გარდა, ბათუმის, ფოთის, სამტრედიის, ქუთაისის, ზესტაფონის, ბროწეულას სადგურის, ხაშურის, გურჯაანის რკინიგზელებიც გაიფიცნენ. ისინი ითხოვენ, ახალ სახელფასო სისტემას, რომელიც 2015 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედდეს, რკინიგზელთა ხელფასების შემცირება არ მოჰყვეს, დაურიგდეთ მეცამეტე ხელფასი და ზეგანაკვეთური შრომის ანაზღაურება. გაფიცულმა რკინიგზელებმა შტაბები შექმნეს და ღამის მორიგეობა დააწესეს.
27 ნოემბერს, გაფიცულებს ბათუმისა და თბილისის სტუდენტურმა მოძრაობებმა სოლიდარობა გამოუცხადეს. გაფიცვას ცუდი შედეგი უკვე მოჰყვა — 26 ნოემბერს, ღამით, სამი სარკინიგზო შემთხვევა დაფიქსირდა. სადგურ სუფსაში, მატარებელმა წითელი შუქნიშანი გაიარა და სალიანდაგო ისარი გაჭრა; სადგურ ლილოში, ორი ვაგონი ლიანდაგიდან გადავიდა და ჩავარდა; იგოეთი-ჯაპანას გადასარბენზე, მე-9 კილომეტრის პირველ პიკეტში, შემთხვევით აღმოჩნდა კოროზირებული გატეხილი რელსი, რასაც შესაძლოა, დიდი კატასტროფაც მოჰყოლოდა. 27 ნოემბერს, დილით, ოზურგეთის მატარებელმა დააგვიანა, თუმცა რკინიგზის ადმინისტრაცია ამ შეფერხებას ტექნიკურ მიზეზს უკავშირებს. გაფიცულები აცხადებენ, რომ რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენლები მათზე ზეწოლას ახორციელებენ და სამსახურის დაკარგვის მუქარით, გაფიცვის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ.

დავა რკინიგზის პროფკავშირებსა და ადმინისტრაციას შორის

2013 წელს, რკინიგზელთა ახალმა პროფკავშირმა, „შრომის კოდექსის“ შესაბამისად, „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციასთან შრომითი დავა წამოიწყო, რაც 21-დღიან შემათანხმებელ პერიოდს ითვალისწინებდა. ისინი ახალ მენეჯმენტს ირაკლი ეზუგბაიას იმ გადაწყვეტილების გაუქმებას სთხოვდნენ, რომლითაც პირველი, მეორე, მესამე კლასის, ასევე უკლასო მემანქანეებისა და ზეინკლების ხელფასები გათანაბრდა. იმის გამო, რომ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ შედგა, რკინიგზელებმა გაფიცვის უფლება კანონიერად მოიპოვეს.

„საქართველოს რკინიგზამ“ გაავრცელა განცხადება, რომ 26 ნოემბერს, რკინიგზა ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა, რკინიგზელების უმრავლესობა კი გაფიცვას არ აპირებდა. ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ პროფკავშირების ერთ ჯგუფსა და მენეჯმენტს შორის, თანამშრომელთა მცირე ჯგუფის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რამდენიმე შეხვედრა გაიმართა. **„მოთხოვნების 9 პუნქტიდან, 7 მოთხოვნა დადებითად გადავჭერით, ერთი — სასამართლო განხილვის საგანია, ერთ პუნქტზე შეთანხმება ვერ მოხერხდა. თუ „საქართველოს რკინიგზის“ ახალი მენეჯმენტის მიერ, ბოლო ორი წლის განმავლობაში, კომპანიაში გატარებულ კორპორატიულ-სოციალურ პოლიტიკას გავითვალისწინებთ, რასაც თანამშრომელთა სამუშაო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯებიც მოჰყვა, აღნიშნული ორი პუნქტის გამო, პროფკავშირის ამ ჯგუფის მიერ გაფიცვის ფორმატის შერჩევა და რადიკალური პოზიცია ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ გაფიცვა მათი ცალკეული ხელძღვანელების თვითმიზანია და არა მოლაპარაკების, ან დიალოგის გზით საკითხის მოგვარების სურვილი“,** — ნათქვამია „საქართველოს რკინიგზის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში, რომელშიც რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ გადადგმული ნაბიჯებიცაა გაწერილი. ცხადია, არის დეტალური ინფორმაციას სახელფასო ფონდთან დაკავშირებითაც, რომელმაც 2014 წელს, ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ჯამურად 139 000 509 ლარი შეადგინა. 2012 წელთან შედარებით, 2013 წელს, ხელფასის სახით, 25 000 000 ლარით მეტი გაიცა; ხოლო 2014 წელს — 8 000 000 ლარით მეტი. 2015 წელს სახელფასო ფონდი 9 000 000 ლარით გაიზრდება. გარდა ამისა, 5 241 თანამშრომელს ღამისა და სადღესასწაულო დანამატები დაუმტკიცდა. გაცემული თანხის ოდენობა 5 872 127,41 ლარი იყო. დაწესდა მოდერნიზაციის დანამატი და 1 248 თანამშრომელზე გაცემული თანხის ოდენობა 1 397 348 ლარს შეადგენს. 2014 წლის ბოლოს, პრემიის სახით, შობა-ახალი წლის სახელფასო დანამატი გაიცემა, რაც ხელფასის 25%-ზე ნაკლები არ იქნება.

რას ითხოვენ გაფიცულები?

რკინიგზის ახალი პროფკავშირების წარმომადგენელი, **ილია ლეჟავა** „ვერსიასთან“ საუბრისას აცხადებს, რომ ვიდრე „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაცია გაფიცულთა მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, რკინიგზელები გაფიცვას არ შეწყვეტენ:

— ბატონო ილია, 9-პუნქტიანი მოთხოვნიდან, 7 უკვე დაუკმაყოფილებიათ, გამოდის მოლაპარაკება შედგა?

— ამჟამად შრომის კოდექსთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე ვსაუბრობ. გაფიცვა 26 ნოემბერს დაიწყო, მაგრამ რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ჩვენთან შეხვედრის სურვილი არ ჰქონიათ. არ მესმის, რატომ აპელირებენ 9-პუნქტიანი მოთხოვნით, როცა შრომითი დავა მხოლოდ სამ პუნქტზე წარმოიშვა და მასზე არანაირი შეთანხმება არ შემდგარა. ვითხოვთ, რომ ახალ სახელფასო სისტემას, რომელიც 2015 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება, რკინიგზელების ხელფასების შემცირება არ მოჰყვეს და ეს დაპირება წერილობით დავადასტუროთ ხელმოწერით.

— რის საფუძველზე აცხადებთ, რომ ხელფასები შემცირდება?

— რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ თავისი არსებობის მანძილზე, „საქართველოს რკინიგზას“ წელს, უპრეცედენტოდ მაღალი მოგება — 77 000 000 ლარი ჰქონდა. თუ ასეა, რკინიგზელთა ახალი პროფკავშირი ამ თანხიდან რკინიგზელების კუთვნილ წილს — 5 000 000 ლარს ითხოვს. 2013 წელს, რკინიგზელთა ახალმა პროფკავშირმა, რკინიგზის მენეჯმენტისგან უარი მიიღო მოთხოვნაზე, მომხდარიყო მემანქანეებისა და ზეინკლების ხელფასების დიფერენციაცია. ამის შემდეგ, რკინიგზელები გაიფიცნენ და ადმინისტრაცია დათმობაზე წავიდა — მხარეებს შორის გაფორმდა ოქმი, სადაც წერია, რომ რკინიგზის ადმინისტრაცია შეიმუშავებს ისეთ სახელფასო სისტემას, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა ხელფასის მატება კლასისა და თანრიგების მიხედვით. რკინიგზის ადმინისტრაციამ სახელფასო სისტემის ისეთი ვარიანტი წარმოადგინა, რომლითაც რკინიგზელთა 50%-ს ხელფასი შეუმცირდებოდა. გავაპროტესტეთ და სამმხრივ კომისიას (დამსაქმებლები, დასაქმებულები და მთავრობის წევრები) მივმართეთ, რომელსაც საქართველოს პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს. პრემიერის ბრძანებით დანიშნულმა კონკრეტულმა წარმომადგენლებმა, ჩვენი არგუმენტების მოსმენის შემდეგ განაცხადეს, რომ იზიარებდნენ ჩვენს პოზიციას. მათ რკინიგზის ადმინისტრაციას მიმართეს, თუ ახალი სახელფასო სისტემის შექმნას ვერ ახერხებთ, ექსპერტები დაიქირავეთო. ადმინისტრაციამ დაიქირავა დამოუკიდებელი ორგანიზაცია „სინერჯი ჯგუფი“, რომელმაც სახელფასო სისტემის ახლებური ვარიანტი შექმნა.

— და ამ ვარიანტში რას არ ეთანხმებით?

— სახელფასო სისტემაში გაწერილია, რომ 2015 წლის 1 იანვრიდან რკინიგზელების ხელფასები არ შემცირდება, მაგრამ 2015 წლის პირველი კვარტლის შემდეგ დაიწყება რკინიგზელების ატესტაცია, რომლის მიხედვითაც განაწილდება ანაზღაურება. ეს მიუღებელიცაა და კანონის დარღვევა, რადგან რკინიგზელებთან გაფორმებულ ინდივიდუალურ შრომით ხელშეკრულებაში დაფიქსირებულია ხელფასის ოდენობა. ამ ხელშეკრულებაში რამის შესაცვლელად, ორივე მხარის თანხმობაა საჭირო. მიუღებელია სახელფასო სარგო შემიცვალონ ატესტაციაზე ქულების გარკვეული რაოდენობის ვერმიღების გამო.

— „საქართველოს რკინიგზაში“ აცხადებენ, რომ გაფიცვის მიუხედავად, რკინიგზა შეუფერხებლად მუშაობს...

— შეუფერხებლად მუშაობდა, მაგრამ იცით, ვინ მართავდან მატარებლებს? — მემანქანეების ნაცვლად, საჭესთან მორიგეები დასვეს. 26 ნოემბერს, რკინიგზაზე უსაფრთხოების ნორმები დაირღვა, რაზეც სრული პასუხისმგებლობა „საქართველოს რკინიგზის“ ადმინისტრაციას ეკისრება.

გაფიცვა თუ საპროტესტო აქცია?

„საქართველოს რკინიგზის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა, დაჩი ცაგურიამ „ვერსიას“ განუცხადა, რომ არცერთი სტრუქტურული ერთეულის მუშაობა არ შეფერხებულა და სამგზავრო თუ სატვირთო მატარებლები ჩვეულ რეჟიმში გადაადგილდებოდნენ. ცაგურიას განცხადებით, ეს იყო აქცია და არა გაფიცვა, რადგან სტრუქტურაში დასაქმებული 12 786 ადამიანიდან, მხოლოდ 100 კაცი გაიფიცა. მიუხედავად ამისა, მისი თქმით, რკინიგზის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის, თუნდაც ერთი დასაქმებულის განსხვავებული პოზიციაც მნიშვნელოვანია. რაც შეეხება ახალ სახელფასო სისტემას, ცაგურიას განმარტებით, რკინიგზელების ხელფასის შემცირება არ იგეგმება და ახალი სისტემის მიზანია, რკინიგზაზე დასაქმებულ კადრებს სათანადო მატერიალური მოტივაცია შეექმნას: **„რკინიგზელთა ხელფასი კვალიფიკაციის მატებასთან ერთად მოიმატებს. სისტემის დანერგვისას კი თანამშრომლები სახელფასო მატრიცაში, არსებულ ხელფასებზე დაყრდნობით გადანაწილდებიან. ახალი სისტემის კონცეფცია, ინდივიდუალურ შეფასებასა და შესაბამის წახალისებას ეფუძნება. შეფასება განხორციელდება კვარტლურად და ძალიან კარგი შედეგის შემთხვევაში, რკინიგზელი მიიღებს კვარტალში დარიცხული ხელფასის 30%-ს“.**

ვერსიანიუსი

სურსათის ეროვნულ სააგენტოს ზაზა დოლიძე უხელმძღვანელებს

სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული ახალი ოფისის გახსნისას სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ სურსათის ეროვნული სააგენტოს ახალ ხელმძღვანელად ზაზა დოლიძე წარადგინა.

ზაზა დოლიძე მანამდე სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე იყო. სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მრჩევლად, იყო შსს-ს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის კონსულტანტი ორგანიზაციული მართვის საკითხებში.

შრომითი საქმიანობა ზაზა დოლიძემ 2006 წელს შპს „პე-ეს-პე ფარმაში“ კორპორატიული გაყიდვების მენეჯერად დაიწყო. 2011 წლამდე „პე-ეს-პე ფარმაში“ იგი მუშაობდა კორპორატიული გაყიდვების სამსახურის უფროსად, ხოლო მოგვიანებით, 2012-2013წწ. „პე-ეს-პე დაზღვევის“ დირექტორად. 2013-14 წლებში ხელმძღვანელობდა საფეხბურთო კლუბ რუსთავის „მეტალურგს“.

2014 წლის წლის 26 ნოემბრიდან საქართველოს პრემიერ-მინისტრის 443 ბრძანებით, ზაზა დოლიძე დაინიშნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსად.

ზაზა დოლიძე დაიბადა 1981 წელს, 2004 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სპეციალობით ზოგადი პროფილეს ექიმი. დამატებით მას გავლილი აქვს ბიზნესის ადმინისტრირების კურსი თავისუფალ უნივერსიტეტში, (შჯ-თბილისი). ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ დანელიას გადაწყვეტილებით, ზურაბ ჩეკურაშვილი, რომელიც მანამდე ხელმძღვანელობდა სურსათის ეროვნულ სააგენტოს, დაინიშნა სოფლის მეურნეობის მინისტრის მრჩევლად.

„ინტერპრესნიუსი“

თბილისში 4 ავტომობილის შეჯახების შედეგად ერთ-ერთი მანქანა აალდა

ავტოსაგზაო შემთხვევა დიღმის ხიდის ქვემოთ, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე ცოტა ხნის წინ მოხდა. შსს-ს ინფორმაციით, 3 ადამიანი საავადმყოფოში გადაიყვანეს. საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა აალებული მანქანიდან მგზავრების გადმოყვანა დროულად მოახერხეს. ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო, სახანძრო და სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები.

საგამოძიებო უწყების ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

„პირველი“



მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები 2014 წელს

როგორ შეურაცხყოფენ რელიგიურ უმრავლესობას საქართველოში და რაფომ არ აქცევენ პრობლემას სათანადო ყურადღებას შესაბამისი ორგანიზაციები

ეკლაშა ცაიშვილი
თეოლოგი,
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი

რამდენადაა დაცული საქართველოში რელიგიური უმრავლესობის — მართლმადიდებლების უფლებები? ამ საკითხით „ვერსია“ პერიოდულად ინტერესდება და წლების მიხედვით, შესაბამის ანგარიშსაც წარუდგენს მკითხველს. სამწუხაროდ, მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები 2014 წელსაც უხვად გამოვლინდა. პრობლემას კი, არც შესაბამისი ორგანიზაციები აქცევენ სათანადო ყურადღებას და არც სახალხო დამცველის ოფისი. „ვერსია“ ექსკლუზიურად გთავაზობთ 2014 წელს მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტებს.

2014 წელს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღოლმა, საშობაო ეპისტოლეში ხელოვნური განაყოფიერებისა და სუროგატი დედების საკითხზე გაამახვილა ყურადღება და ეკლესიის ნეგატიური დამოკიდებულება გამოხატა. მან მეცნიერული კუთხით, ყურადღება გაამახვილა სხვადასხვა ასპექტზე და დასვა კითხვა — ამგვარი გზით შობილ ბავშვებს მომავალში რა სახის ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება შეექმნათ? მსგავსი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხებისადმი სხვა რელიგიურ დენომინაციებსაც ახასიათებს, მეცნიერებაში კი, მსგავსი ფსიქოლოგიური კითხვები ათეულობით წელია ისმის. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკოსები და მათ შორის ომბუდსმენიც, გამოვიდნენ ანტიეკლესიური და პატრიარქის შეურაცხმყოფელი განცხადებებით — მართლმადიდებელი ეკლესიის მეთაურს დასდეს უსაფუძვლო ბრალი, თითქოს იგი ინვიტრო განაყოფიერებითა და სუროგაციის გზით შობილ ბავშვებს რიყავდა საზოგადოებიდან. რეალურად, მათი მიზანი წარმოადგენდა მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი საჭეთმყრობლის დისკრიმინაციის მცდელობას.

2014 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გადაწყვეტილებით გაიხსნა რამდენიმე წმინდანის საფლავი და მათი წმინდა ნაწილები ტაძრებში გადაასვენეს, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის გადაცემა „პოსტ სკრიპტუმის“ ეთერში, რამდენიმეჯერ მომზადდა რწმენისა და მართლმადიდებელი მრევლის მიმართ დამცინავი, ცინიკური და ფარული აგრესიისშემცველი რეპორტაჟები. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელებშიც მრავალი სიწმინდეთმკრეხელური განცხადება გავრცელდა.

2014 წლის 2 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონი, რითაც მოხდა ჩვენი ქვეყნის უმრავლესობისა და განსაკუთრებით მართლმადიდებელი ეკლესიისა და მრევლის უფლებების ხელყოფა-დისკრიმინაცია. კონსულტაციები მხოლოდ რელიგიურ და სხვა სახის უმცირესობებთან გაიმართა. მართლმადიდებელი ეკლესია კი დისკუსიებში, კანონის მიღებამდე მხოლოდ რამდენიმე დღით ადრე ჩაერთო, ისიც ისე, რომ დისკუსიის ბოლომდე წარმართვის შესაძლებლობა არ მიეცა. კანონი პარლამენტმა ისეთი ფორმით მიიღო, რომ რელიგიურმა უმრავლესობამ თავი დისკრიმინირებულად იგრძნო.

2014 წლის 13 მაისს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის თემაზე გამართულ სიმპოზიუმზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა, მართლმადიდებელი საზოგადოებისთვის უფლებაშემლახველი განცხადებები გააკეთა. მან საქართველოს ღვთისმშობლის წილხვედრილობასთან დაკავშირებულ გადმოცემას (რაც ბერძნული, რუსული და ქართული წყაროებითაც დასტურდება), სიმბოლო და ლეგენდა უწოდა და განაცხადა, ღვთისმშობელი საქართველოში რომ არ ყოფილა, იგი მხოლოდ პოტენციურადაა მისი წილხვედრიო. ასევე თურმე ორიათასი წელია, ერთი ნაბიჯითაც არ მივახლოებივართ მაღალ არსს. მსგავსი განცხადება, ქართველი ერისა და მისი ისტორიის შეურაცხყოფაა — ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე პერიოდები და ასობით ათასობით ადამიანთა ქრისტესთვის და მამულისათვის თავდადება არაფრადაა მიჩნეული.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის, ზაზა ხატიაშვილის განცხადებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდა ადვოკატთა ღირსების შემლახავი ქმედება — 2014 წლის 14 ივლისს, ქსნის №14 დაწესებულებაში, ადვოკატი დაცვის ქვეშ მყოფთან მანამ არ შეუშვეს, სანამ ნათლობის ჯვარი არ მოიხსნა. ჯერ კიდევ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების დროს, სასჯელაღსრულების მაშინდელმა მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმად სასჯელაღსრულების დაწესებულებებში იკრძალება ფასეული ნივთების შეტანა. მიუხედავად ამისა, ხატიაშვილის განცხადებით, ივანე მერაბიშვილის სასამართლო პროცესზე ჩვენების მისაცემად მოყვანილ პატიმრებს, ხელზე ძვირადღირებული საათები ეკეთათ, რაც მთელმა საქართველომ იხილა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერით. თუ მსგავსი რამ პატიმრებისთვის დასაშვებია, ადვოკატებს რატომ ეკრძალებათ ნათლობის ჯვრის ტარება პროფესიული მოვალეობის აღსრულების დროს.

2014 წლის 20 ივლისს ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პანორამაში“ აჩვენეს კადრები, სადაც რამდენიმე ახალგაზრდა უპირისპირდება სასულიერო პირს — მათ სიძულვილის ენით და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიეს მართლმადიდებელი ეკლესია, რის შემდეგაც სასულიერო პირი ხელით შეეხო ერთ-ერთ მათგანს. რა თქმა უნდა, ყოველგვარი ფიზიკური დაპირისპირება მიუღებელია, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში აშკარად გამოიკვეთა პროვოკაციისშემცველი ნიშნები. ხოლო ყოველივე ამაზე მიძღვნილი სატელევიზიო სიუჟეტი, იყო მართლმადიდებელთათვის უფლებაშემლახველი. ამის მიზეზი, შეიძლება ვიფიქროთ, ის იყო, რომ საქმე მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელს ეხებოდა —

სხვა აღმსარებლობის სასულიერო პირთა მსგავსი ან უარესი ქმედებანი არასოდეს მოხვედრილა ტელეობიექტივში. ამდენად მართლმადიდებელი ეკლესიის ამ კუთხით გამონაკლის მდგომარეობაში ჩაყენება, ძალიან ჰგავს ჩასაფრებულ პოზიციაში ყოფნას. ასევე, ეს გახლავთ მართლმადიდებელთა უფლების დარღვევის ფაქტი და ეკლესიის ავტორიტეტის დისკრიმინაციის მცდელობა. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის შემთხვევაც, როდესაც 2013 წლის 13 აპრილს, ტელეკომპანია „იმედმა“ მართლმადიდებელთა უფლებადარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული პრესკონფერენცია გადაიღო, შემდეგ კი, არ გააშუქა.

2014 წლის 10 სექტემბერს აჭარაში, კერძოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მუსლიმ და ქრისტიან მოსახლეობას შორის რელიგიური ნიშნით დაპირისპირება მოხდა. კონფლიქტის მიზეზად დასახელდა მუსლიმური სასწავლებლის „მედრესეს“ უკანონოდ გახსნა. ინფორმაცია ამის შესახებ არ გააჩნდა არც ადგილობრივ მოსახლეობას, რომლის უმრავლესობაც მართლმადიდებელია და არც ადგილობრივ ხელისუფლებას. მანამდე გავრცელდა ხმა, რომ თურქული მხარე აშენებდა სასტუმროს. დაპირისპირების პროცესში მოხდა ერთი ცუდი შემთხვევაც — რამოდენიმე აგრესიულად განწყობილმა პირმა „მედრესეს“ კარიბჭეზე ღორის თავი დაკიდა, რაც რა თქმა უნდა გაუმართლებელია. თუმცა, გაკვირვებას იწვევს, აღნიშნული მოვლენის კვლავ ცალმხრივი შეფასება. ტელეკომპანიები და ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაცია დანაშაულებრივად მიიჩნევდა მხოლოდ კარიბჭეზე ღორის თავის ჩამოკიდების შემთხვევას და არა შენობის უკანონოდ აშენებას. რა დროსაც შეურაცხოფილ იქნა, როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე მოსახლეობა, რომლებმაც მკაფიოდ დააფიქსირეს, რომ მათთვის არანაირი პრობლემა არ იქნებოდა ამგვარი სასწავლებლის გახსნა, ამის საჭიროება რომ ყოფილიყო. ისინი მსგავს ქმედებაში ხედავენ აჭარის ტოტალური ისლამიზაციის მცდელობას თურქეთის მხრიდან, რომლის ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირი დღემდე აცხადებს, რომ აჭარის ნაწილი მათ ეკუთნით და მალე დაიბრუნებენ.

გასულ წლებში იყო შემთხვევები, როდესაც მუსლიმი მოსახლეობის მხრიდან ყოფილა ხელშეშლა ქრისტიანული ტაძრის მშენებლობაში და მართლმადიდებლური ეკლესიის ტაძართან დიდმარხვის პერიოდში ჩამომხრჩვალი ძაღლის ლეშიც ჩამოკიდეს (როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა გასული წლების უფლებადარღვევის ფაქტებში), თუმცა ეს არ გამხდარა ტელეკომპანიების მხრიდან ფართო განსჯის საგანი და არც არასამთავრობო ორგანიზაციებს გამოუხატავთ შეშფოთება.

2014 წლის 14 ოქტომბერს, თბილისში ოცდამეთერთმეტე ქარხნის დასახლებაში, გაურკვეველმა პირებმა წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიის კარი შეამტვრიეს და გაძარცვეს. დანაშაულის მოტივაციას მხოლოდ ქურდობა არ წარმოადგენდა. ეს იმითაც დასტურდება, რომ ტაძარში დამტვრეული იყო ხატები, ფეხით იყო გათელილი საღვთისმსახურო შესამოსელი და შებილწულ მდგომარეობაში იყო საკურთხეველი, რომელიც ტაძარში ყველაზე წმინდა ადგილად ითვლება. სამწუხაროდ, ამ შემთხვევას არცერთი უფლებადამცველი ორგანიზაცია თუ ინსტიტუტი, მათ შორის არც სახალხო დამცველი გამოხმაურებია და არც ტელეკომპანიებს გამოუჩენიათ იმგვარი დაინტერესება, როგორც ეს სხვა რელიგიური კონფესიების რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის ან უფლებათა დარღვევის შემთხვევების დროს ხდება ხოლმე.

2014 წლის 22 ოქტომბერს ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ მოხეში რელიგიურ ნიადაგზე პოლიციასა და მუსლიმ მოსახლეობას შორის მოხდა დაპირისპირება, რის შემდეგაც გარკვეული დროით 14 ადამიანი დააკავეს. დაპირისპირების მიზეზს სადავო შენობ-ნაგებობა წარმოადგენდა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კულტურის ცენტრი და ბიბლიოთეკა უნდა განთავსებულიყო.

დასასრული მე-7 გვერდზე

2015 წელს საქართველო „ენერგეტიკული ქარტიის“ თავმჯდომარე ქვეყანა იქნება

კახა კალაძე: „საქართველომ კასპიის ენერგორესურსების საიმედო სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი დაიმკვიდრა“

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე ასტანაში ენერგეტიკული ქარტიის 25-ე კონფერენციას დაესწრო და მინისტრთა სესიაზე პრეზენტაცია გამართა. კონფერენციის ფარგლებში ენერგეტიკის მინისტრმა, გლობალური ენერგოუსაფრთხოების თვალსაზრისით, სატრანზიტო დერეფნების განვითარების მნიშვნელობაზე და ამ პროცესში საქართველოს, როგორც საიმედო პარტნიორის როლზე ისაუბრა. საინტერესოა, რომ მომავალ წელს, ქარტიის 26-ე კონფერენციას თბილისი უმასპინძლებს და ეს პროცესი ხელს უწყობს საქართველოს საერთაშორისო ენერგოპოლიტიკაში ჩართულობის მნიშვნელობის გაზრდას. საქართველო ევროპის ენერგეტიკული ქარტიის წევრი 1995 წლიდან გახლავთ.

ენერგეტიკის მინისტრის **კახა კალაძის** განცხადებით: **„სატრანზიტო დერეფნების განვითარება იმ მნიშვნელოვან საკითხებს შორისაა, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში აქტიურად განიხილება. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც სულ უფრო იზრდება ქვეყნების დამოკიდებულება ენერგეტიკული რესურსების იმპორტზე და იმ პოლიტიკური გამოწვევების ფონზე, რომელსაც ადგილი აქვს ენერგორესურსების ტრანსპორტირების უსაფრთხოების კუთხით. საკითხებმა, რომელსაც დღეს განვიხილავთ, მიიპყრო სახელმწიფოთა მთავრობების, ბაზრების, მომხმარებლებისა და საერთაშორისო ექსპერტთა ინტერესები, ვინაიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების პრობლემა პირდაპირაა დაკავშირებული მიწოდების უსაფრთხოების ხარისხის უზრუნველყოფაზე, რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფო უსაფრთხოების უფრო ფართო კონცეფციაზე. საერთო გამოცდილებამ რეგიონში აჩვენა, რამდენად მნიშვნელოვანია სათანადო პირობებისა და უფრო ეფექტური მექანიზმების შექმნა საიმედო სატრანზიტო მარშრუტების განვითარებისთვის. კერძოდ, სათანადო სამართლებრივი/მარეგულირებელი გარემო პირობების შექმნა, რომელსაც შეეძლება კერძო ინვესტიციების მოზიდვა ეკონომიკურად გამართლებული ენერგოინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების მიზნით და, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების უსაფრთხოებასა და ენერგოსისტემების ეფექტურობას“.**

მინისტრმა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიულ მდებარეობაზეც ისაუბრა და დეტალურად ახსნა საქართველოს როლის მნიშვნელობა საერთაშორისო ბაზარზე.

„კავკასიის რეგიონის სტრატეგიული მდებარეობა, კასპიისა და შავ ზღვებს, ირანს, რუსეთსა და თურქეთს შორის, მნიშვნელოვან ყურადღებას იპყრობს უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ენერგორესურსების ალტერნატიული მიწოდების წყაროები. ეს რეგიონი უკვე უზრუნველყოფს სატრანზიტო დერეფანს ენერგოპროექტებისთვის „სამხრეთ დერეფნის“ ფარგლებში, როგორც ალტერნატიული მიწოდების წყარო ევროპის ენერგეტიკული ბაზრებისათვის. საქართველომ, როგორც აღნიშნული სატრანზიტო დერეფნის ნაწილმა, დაიმკვიდრა კასპიის ენერგორესურსების საიმედო სატრანზიტო ქვეყნის სტატუსი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი (SCP), რომელიც აღიარებულია ევროკავშირის პრიორიტეტულ პროექტად და „სამხრეთ დერეფნის“ მნიშვნელოვან ნაწილად, იმ პროექტებს შორისაა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე გადის. როგორც ცნობილია, შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის ამოქმედების შემდეგ, „სამხრეთ დერეფნის მილსადენები (შჩ, თანაპ, თაპ) იქნება ერთ-ერთი ყველაზე დიდი და კომპლექსური პროექტები ენერგოინდუსტრიის ისტორიაში. მიწოდების მარშრუტების დივერსიფიკაციის კუთხით მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჩვენ, აგრეთვე, უნდა ვიფიქროთ კასპიის რეგიონში დამატებითი რესურსული ბაზის შექმნაზე და გავაგრძელოთ მუშაობა ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების იდენტიფიკაციის მიმართულებით“.

ენერგეტიკის მინისტრმა კონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, რომ დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა „ტრანსკასპიური გაზსადენის“ პროექტის განხორციელებაზე, რომელსაც აქვს პოტენციალი, დამატებითი რესურსით მოამარაგოს რეგიონი თურქმენეთიდან. თუმცა, ისიც არ დაუმალავს, რომ ამ მხრივ პროგრესი ნაკლებად შეინიშნება. შესაბამისად, საჭიროა დამატებითი ძალისხმევა ქვეყნების მხრიდან სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავების კუთხით, რათა ხელი შეეწყოს აღნიშნული პროექტის რეალიზაციას. ამასთან, ბატონი კახის თქმით, ირანთან მიმართებაში მკაცრი დამოკიდებულების შერბილების ფონზე, ირანიდან ევროპაში გაზის ტრანსპორტირების საკითხი გააქტიურდა და აუცილებელია, ჩამოყალიბდეს საერთაშორისო თანამეგობრობის ერთიანი ხედვა ირანიდან პოტენციური სატრანსპორტო პროექტების განხორციელებაზეც, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ალტერნატიული მიწოდების წყარო რეგიონისთვის. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კასპიის რეგიონიდან თხევადი/კომპრესირებული გაზის ტრანსპორტირების მექანიზმების შექმნაზე მუშაობის დაწყების და ამ მხრივ შავი ზღვის რეგიონში ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობაზეც აკეთებს აქცენტს.

„თხევადი/კომპრესირებული გაზის პროექტების განხორციელება იმ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხთა შორისაა, რომლისთვისაც შავი ზღვა იპყრობს ყურადღებას. შესაბამისად, საქართველო, ცდილობს საკუთარი სატრანზიტო როლის გაძლიერებას ამ მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს კასპიისა და შავი ზღვის ქვეყნებს შორის ენერგეტიკული კავშირების შექმნის ხელშეწყობას“, — აღნიშნა ბატონმა კახიმ.

კონფერენციაზე ითქვა, რომ ჩვენს რეგიონში ენერგორესურსების მნიშვნელოვანი პოტენციალი და დიდი არჩევანია მიწოდების წყაროების შექმნის თვალსაზრისით, რაც პირველ რიგში მოითხოვს საიმედო სატრანზიტო დერეფნების განვითარებას საიმედო მარეგულირებელი და ეფექტური სამართლებრივი გარემოპირობების გათვალისწინებით, რომელიც ხელს შეუწყობს საერთო პროექტების წარმატებით განხორციელებას. აღსანიშნავია კავკასიის რეგიონის პოტენციალი ელექტროენერგიის წარმოების თვალსაზრისით. განსაკუთრებით, საქართველოს ჰიდროგენერაციისა და აზერბაიჯანის თბოგენერაციის პოტენციალი, რაც ახლო მომავალში შესაძლოა გახდეს მეზობელი ქვეყნებისათვის ენერგომიწოდების მნიშვნელოვანი წყარო. ამის მიუხედავად, კალაძეს არ დაუმალავს, რომ დღეის მდგომარეობით ეს რესურსები კვლავ აუთვისებელია და მნიშვნელოვან ინვესტიციებს მოითხოვს. შესაბამისად, საქართველო, როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფნების დამაკავშირებელი და ეკოლოგიურად სუფთა ენერგიის სეზონური ექსპორტიორი ქვეყანა დაინტერესებულია ამ მიმართულებით მეზობელ ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებით. კახა კალაძე: **„შედეგად, საქართველო, როგორც მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანა რეგიონში, დაინტერესებულია „ენერგეტიკული ქარტიის“ პროცესის გაძლიერებით ენერგორესურსების ტრანზიტთან მიმართებაში, განსაკუთრებით, ელექტროენერგიის ტრანზიტის კუთხით და მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს კონფერენციის მუშაობის ამ მიმართულებით გაძლიერებას 2015 წელს, საქართველოს თავმჯდომარეობის ფარგლებში“.**

ექსკლუზივი

2014 წლის მართლმადიდებელთა უფლებების დარღვევის ფაქტები

მე-4 გვერდიდან

მუსლიმი მოსახლეობისა და მათი სულიერი ლიდერების განცხადებით კი, ეს შენობა წლების წინ იყო მეჩეთი და მას ახლაც თავისი ძველი დანიშნულება უნდა დაუბრუნდეს. მართლმადიდებელი მოსახლეობის თქმით, აღნიშნული ნაგებობა მუსლიმმა თანასოფლელებმა მართლმადიდებლური ტაძრის ნანგრევებიდან აღებული ქვებით ააშენეს, რასაც იქვე არსებული ტაძრის ნანგრევებიც ადასტურებს. მიუხედავად იმისა, საქართველოს ეკლესიის იერარქებს. ადგილობრივ სასულიერო პირებსა და მრევლს დიდი სურვილი ჰქონდათ, ამ შენობაში ქრისტიანული ტაძარი ყოფილიყო, ისინი დაჰყვნენ ხელისუფლების გადაწყვეტილებას, შენობის ნეიტრალურ ნაგებობად, ანუ კულტურის ცენტრად ან ბიბლიოთეკად გამოყენებაზე — არ სურდათ მუსლიმ ძმებთან ურთიერთობის გაფუჭება და ვითარების დაძაბვა. სამწუხაროდ, ამ უკანასკნელებმა, მსგავსი შემხვედრი ნაბიჯი არ გადმოდგეს. მეტიც, მუსლიმი მოსახლეობა და მათი სულიერი ლიდერები, მათი მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სისხლისღვრით დაიმუქრნენ. შემდეგ კი მიუხედავად თავიანთი დანაშაულებრივი განცხადებებისა, კონფლიქტის ესკალაცია და ძმათა შორის შუღლის გაღვივება, მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქებსა და ადგილობრივ სასულიერო პირებს გადააბრალეს.

2014 წლის 28 ოქტომბერს სტუდია „რეპორტიორში“, პირადად მე და უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძემ, ერთობლივად მოვაწყვეთ პრესკონფერენცია, ადიგენის მუნიციპალიტეტის მოხეს მეჩეთთან დაკავშირებულ პრობლემებზე. გამოვხატეთ ობიექტური პოზიცია, გამოვთქვით შენიშვნები და რეკომენდაციები უფლებადამცველი ინსტიტუტების, სახალხო დამცველისა და ტელეკომპანიების მისამართით, რომლებმაც არ შეისწავლეს მართებულად აღნიშნული პრობლემა და ისე ატეხეს განგაში. რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამაც საქმეში ჩაუხედავად, მოვლენათა წინმსწრები ერთობლივი საჯარო განცხადება გააკეთა, იმის შესახებ, მოხეს მეჩეთთან დაკავშირებული პრობლემებით, როგორ ირღვევა მუსლიმთა უფლებები. საბოლოოდ, ამგვარმა უპასუხისმგებლო, ტენდენციურმა და არაპროფესიონალურმა განცხადებებმა უფრო დაძაბა ადიგენის მუნიციპალიტეტში არსებული ვითარება.

სამწუხაროდ, ჩვენს მიერ 2013 წლის 13 აპრილს მოწყობილი პრესკონფერენციის მსგავსად, ამ პრესკონფერენციითაც არ დაინტერესდნენ ტელეკომპანიათა უმეტესობა და არც ტელეკომპანია „იმედმა“ დაარღვია ტრადიცია — მათი წარმომადგენელი დაესწრო პრესკონფერენციას, თუმცა ინფორმაცია არ გაშუქდა.

ძალზედ ბევრი კითხვა ჩნდება სახალხო დამცველის, არასამთავრობო სექტორის, უფლებადამცველი ინსტიტუტებისა და ტელეკომპანიების ამგვარ იდენტურ მოქმედებებზე. მიზანია ჩვენი ქვეყნისა და მის საზღვრებსგარეთ არაობიექტური ინფორმაციის გაჟღერება, რომლის თანახმად, თითქოს ჩვენს ქვეყანაში, მხოლოდ რელიგიურ უმცირესობათა უფლებები ირღვევა, მართლმადიდებლები კი მშვიდად და ბედნიერად ცხოვრობენ, მეტიც თურმე ავიწროებენ რელიგიურ დენომინაციებს. საბოლოოდ, ეს მიზანმიმართული და ტენდენციური განგაშის კომპანია, მაშინაც დამნაშავედ ასაღებს უმრავლესობას, როდესაც ის მართალია და მეტიც, თავად იმყოფება დევნისა და შეურაცხყოფის მდგომარეობაში.

ჩამოთვლილ სტრუქტურებს, ერთი შეხედვით, ,,ლიბერალურად“ მოაზროვნე ადამიანები განაგებენ. არადა, მათი ფსევდოლიბერალიზმი ძალზედ დიდ აგრესიას წარმოშობს საზოგადოების დიდ ნაწილში, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული ღირებულებებისადმი ნიჰილიზმის წარმოშობას.

მსახიობები „ნასედკების“ როლში

რის სანაცვლოდ თანამშრომლობდნენ ფეისები პოლიციასთან და რამდენი ადამიანი მოხვდა ციხეში მათი დამსახურებით

პატიმარი №0578

წინა ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობდა, ყველა და ყველაფერი ეკონტროლებინა. დანაშაულად ისიც ითვლებოდა, დიდი ფული თუ გქონდა და თუ უარს იტყოდი ნაციონალური მოძრაობისთვის ხარკის გადახდაზე, გაშანტაჟებდნენ, გიჭერდნენ. ამ ყველაფერში აქტიურად იყვნენ ჩართული მსახიობები. ისინი, ტელევიზიით რომ ხშირად ჩანან და ბევრი მათ ბედს შენატრის. მათი აბსოლუტური უმრავლესობა პოლიციასთან, რბილად რომ ვთქვათ, თანამშრომლობდა და ისე აბამდნენ ფულიან ხალხს მახეში, ბევრი აზრზე დღემდე ვერ მოსულა. თავად კარგად იციან, ვინ რატომ იქცეოდა ასე და რას იღებდა სანაცვლოდ. თანამშრომლობაში ცნობილ ადამიანებს ფულს კი არ უხდიდნენ, პიარში ეხმარებოდნენ და ისინიც ბედს არ უჩიოდნენ...

პატიმარ №0578-ს დაჭერამდე ე.წ. ბომონდთან აქტიური შეხება ჰქონდა და...

„ძმას გაუმარჯოს. შენ კიდევ არ დაუჭერიხარ, კაცო? გადამრევს ეს მთავრობა, ვის დასდევს და ვის არ იჭერს?!“, — №0578-ს დიდი ხნის მეგობარი თაბუკაშვილის ქუჩაზე შეხვდა.

„აქ რას აკეთებ, ლომკაც? თუ დამიჭირეს, მოგიწევს პერედაჩის თრევა და რად გინდა?! შეყვარებული ხომ არ ხარ, რაღაც ამჩატებული ჩანხარ...“

ამ დროს სადარბაზოდან ცნობილი მსახიობი გამოვიდა, ლომკაცას ნაზად გაუღიმა და „აუდის“ კარი გამოაღო.

„ნახე, ვინ ავაგდე?! ერთი კვირაა ერთად ვართ. ასწორებს... ერთი ჟურნალისტები ქერავენ ტვინს. დაგვდევენ, აინტერესებთ, ვინ ვარ და რა ურთიერთობა გვაქვს. მინდა მე ახლა ჟურნალ-გაზეთები? მაცადონ, რა, ცხოვრება“, — გაეღიმა ლომკაცას.

„ეს სად იპოვე, ან რად გინდა?! ძუძუ ამას არ აქვს და ტრაკი... ქალი არ გიკვირს შენ და ეს მაგრად მოგწველის, მერე კიდევ ვიღაც ბიძა გამოჩნდება და იმაში გაგცვლის“, — არ მოეწონა მეგობარს არჩევანი.

„ჯერ ერთი, იმ ბიძას ავახიე სწორედ. პარლამენტარი რომ არის, ხომ იცი, ნაცების ფეისი. მეორეც, ამან რომ რამე მიქაროს, იცის, ამ ლამაზ სახეს დავუსერავ და მაგის სამსახიობო კარიერას დიდ წერტილს დავუსვამ. ორ დღეში ჩემთან ამოდი ყიფშიძეზე, საქმე მაქვს, ვიბაზროთ“.

ორი დღის შემდეგ მეგობრები ყიფშიძეზე სახლში ისხდნენ, ვისკის წრუპავდნენ. ლომკაცამ დაიწყო: „მოკლედ, ერთი საქმეა, ოფიციალური, არაკრიმინალური, ირანელი ბიზნესმენი პარტნიორს ეძებს. გაწეწეს აქ და ფული გაუთავდა. ჰოდა, ფული მე მაქვს, მაგრამ მაგ საქმეში რომ შევიდე, ნაცები ამაგდებენ, ამიტომ ვინმე უცხოელი გვინდა, სანდო, საქმეში რომ შევიდეს ჩვენი ფულით და...“

„და კი არა, ასეთ თემებზე ამის თანდასწრებით რომ ბაზრობ, ბოლომდე ენდობი? უკვე ასეთი ნდობა? მიკვირს შენგან“, — გააჩერა მეგობარმა.

„ლომკაც, ვერ ვიტან ამას. მაშინაც ცუდი რაღაცები გითხრა ჩემზე და ახლაც ნახე რა, უნდა რომ დაგვაშოროს“, — აწუწუნდა მსახიობი, რომელიც ერთი დღით ადრე „პროფილში“ იყო და ამბობდა, რომ ყველაზე ბედნიერია.

„გადი ოთახიდან“, — მშვიდად უთხრა ლომკაცამ. მერე მეგობარს მიუბრუნდა: „ერთი შტერი მსახიობია, გონზე არ არის, ამას ფული და სექსი უნდა მარტო და ორივე აქვს. ტყუილად უყურებ ეჭვის თვალით, ვერ გაბედავს-მეთქი ერთი ადგილის თამაშს“. უცებ კარზე კაკუნი გაისმა.

„შენ ხომ არ გყავდა ვინმე დაბარებული? მე არავის ველოდები“, — ჰკითხა სახლის პატრონმა მეგობარს და კარის გასაღებად გაემართა.

კართან კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლები იდგნენ. ლომკაცს საბუთი და ბინის ჩხრეკის ორდერი ანახეს და სახლში შეაბიჯეს. მსახიობ გოგოს ფერი წაუვიდა, ლომკაცა და მისი მეგობარი კი მშვიდად იდგნენ. სახლში გასაჩხრეკი არაფერი იყო. ახლადგარემონტებულ ბინაში რამდენიმე პუფი იდო იატაკზე, პატარა მაგიდა, მაცივარი და ვისკის ბოთლი. სულ ეს იყო ავლა-დიდება. პოლიციელებმა ერთმანეთს გადახედეს. შემდეგ ერთმა თქვა, სამივე ნარკოლოგიურში უნდა წაგიყვანოთ მოსაშარდადო. მეგობრებმა ჩაცმა დაიწყეს, მსახიობმა კი თავი ჩაღუნა და ჩუმად თქვა, მე არ წამოვალო.

„რატომ, რა ხდება?“ — ღიმილით ჰკითხა პოლიციელმა.

„პლანი მოვწიე სამი დღის წინ“, — ამოისლუკუნა გოგონამ.

ლომკაცს სახე აელეწა და იყვირა: „სამი დღის წინ დილის ცხრიდან ღამის 12-მდე ერთად ვიყავით და მერე სახლში მიგათრიე. რა პლანი მოწიე, მე შენი დედა...“

„ჰო, მოვწიე და ამან მომცა, მე საიდან უნდა მქონოდა“, — გააგრძელა მსახიობმა როლის თამაში და ხელი ლომკაცას დაადო.

ახლა მისმა მეგობარმა იფეთქა: „ხომ გითხარი, ნაბოზვარია-მეთქი, მე ამის დიშოკა დედა ვატირე...“

პოლიციელებმა სამივეს ხელბორკილი დაადეს და სამმართველოში წაიყვანეს. იქ ყველაფერი მალე დასრულდა. მეგობარი გარეთ დატოვეს, მსახიობი და ლომკაცა შევიდნენ. დაახლოებით ერთ საათში ლომკაცა წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, მსახიობი კი ესკორტმა სახლში მიაცილა. პოლიცია მთელი ღამე ყარაულობდა სახლს, დილით კი მასთან მეგობარი ქორეოგრაფი მივიდა.

„გოგო, ის გადარეული იყო გუშინ ჩემთან მოსული. ხომ იცის, რომ შენი მეგობარი ვარ. მითხრა, ჩვენებას თუ არ შეცვლის, ქათამივით დავკლავო. მეც სულ ქათამი მეძახა და ერთი ისეთი შემომკრა, ლოყა ახლაც მტკივა. ცხოველი, საზიზღარი... მარლა დაგვხოცავს, რამე თუ არ მოვიფიქრეთ“, — უთხრა მსახიობს.

მალე სახლის სადარბაზოსთან გამომძიებელი გამოჩნდა, ერთი საათი დაჰყო მსახიობთან და შემდეგ ლომკაცას მეგობარს დაურეკა: „მოკლედ, ის გოგო ჩვენებას ცვლის. ჩვენების შეცვლის გამო სამი წელი სროკია. თუ არ გინდა მეგობრის ნაშა დავიჭიროთ, ასი ათასი უნდა გადაიხადოთ“.

„და ლომკაცა?“ — იკითხა მეგობარმა.

„ეგ 5 წელში გარეთ იქნება“.

„ხოდა, მაგან გადაწყვიტოს. მე ბოზებში ფულს არ ვიხდი...“, — მიუგდო მეგობარმა, მაგრამ გამომძიებელმა აღარ დაამთავრებინა: „იმის ჩვენების შეცვლაში შენი ხელი რომ ურევია და კიდევ იმ პედერასტი მოცეკვავის, ვიცი და მიფრთხილდი“.

ლომკაცა მალე გამოუშვეს, მსახიობი კი სამმართველოში წაიყვანეს.

„ხედავ, არ გამწირა ბოლომდე. მაშინ შეეშინდა ალბათ, ასი ათასი უნდა გადავიხადო“, — ჩუმად თქვა ლომკაცამ.

„რა უნდა ქნა? შენ გარეკე, ხო, სულ? ეგ ნაბოზვარი თავს გაუფრთხილდა, ის პედერასტი გავიგდე დილით, დანის წვერით ფეხები დავუკაწრე და ისეთი შეშინებული მივიდა, მაგას კი არა, პრეზიდენტს გაკერავდა ჩვენების შეცვლაზე. არ გაგწირა კი არა, შეეშინდა სიკვდილის და იმის, რომ შენი სროკის გამო დილით ყელგამოჭრილს იპოვიდა ვინმე“, — გაბრაზდა მეგობარი.

ლომკაცამ ასი ათასი მეორე დღესვე გადაიხადა და მსახიობთან ერთად ბათუმში წავიდა. წყვილს ქორეოგრაფიც ახლდა, როგორც საქმის მშვიდობიანად გამკეთებელი. ბათუმიდან დაბრუნებული მეგობარს ისევ შეხვდა, საკუთარ ბედნიერებაზე უამბო და ვისკიზე დაპატიჟა. პეკინზე მეგობრებს მანქანა გადაუყენეს, ავტომობილიდან ერეკლე კოდუა გადმოვიდა და უთხრა: „ლომკაც, იმის გამო, ადრე რაც გამიკეთე, გეუბნები — შეეშვი ყველაფერს და წადი. დაგიჭერენ. დიდი ფული რომ იშოვე, იციან. საიდან იშოვე, არა და მაგ ფულის გამო დაგიჭერენ. მეტს არაფერს გეტყვი. დღესვე წადი, ახლავე“.

„ორი კითხვა მაქვს, ძმას ვენაცვალე. რა გაუკეთე კოდუას ისეთი, ასეთი კმაყოფილი რომ არის და თავი მოვალედ იგრძნო გაეფრთხილებინე; და მეორე: დიდი ფული რომ იშოვე მე და შენ ვიცით. თან ეს ფული რომ არ მოგვიპარავს, ესეც მე და შენ ვიცით და სავარაუდოდ მათაც იციან, თორემ არ შეგვარჩენდნენ ამდენ ხანს და ერეკლე ბატონიც არ მოვიდოდა ჩვენამდე. მე არავისთვის მითქვამს, შენ, სავარაუდოდ, იმ მსახიობთან როლზე ვარჯიშის დროს წამოგცდა და ახლა ვისკი კი არა, ბარგი ჩაალაგე, მეც ჩავალაგებ და ცოტა ხანს აქაურობას გავერიდოთ“, — უთხრა მეგობარმა ლომკაცას.

„კოდუა... კოდუა... კოდუა... ისეთი არაფერი გამიკეთებია, ამ დონეზე მადლობელი იყოს. სხვა თავებია აქ. თუ რამე მოხდა, ჩემი ფული სადაც დევს, იცი და ახლა ჩემებთან ავიდეთ. არა მგონია, მშობლების სახლში დამადგნენ. იქ მოვიფიქროთ რა ვქნათ“, — ორივე უხმოდ ჩაჯდა მანქანაში.

ერთ საათში „კურიერში“ ასეთი ინფორმაცია გავიდა: სოდის თანამშრომლების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, მშობლების სახლში დაკავებულ იქნა ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტი. ბანდის სხვა წევრები იძებნებიან...“

ბანდის სხვა წევრში ლომკაცას მეგობარი მოიაზრებოდა, მაგრამ ის თავის ფეხით გამოცხადდა პოლიციაში და რადგან ვერაფერი დაუმტკიცეს, სახლში გაუშვეს. ვერაფერი დაუმტკიცეს ლომკაცსაც, უბრალოდ იმეორებდნენ, რომ იტალიიდან მათ ანგარიშზე თითქმის ნახევარი მილიონი ევრო დაჯდა და ამ ფულის წარმომავლობის გარკვევა სურდათ. საბოლოოდ საპროცესო გარიგების შედეგად მეგობრებმა პოლიციას ოთხასი ათასი გადაუხადეს, მაგრამ იმის გამო, რომ ლომკაცმა დაკითხვაზე არაოფიციალურად მისულ დათა ახალაიას ხელი გაარტყა, სამი წელი მაინც მისცეს.

* * *

„მომისმინე, შე ბოზო.... ან იმ კაცს აუხსნი, რომ სამი წელი ვერ დაელოდები და როგორმე გადაიტანს, ან კიდევ ეს სამი წელი პატიოსნად ივლი ზონაზე პაემნებზე, თანაცხოვრებას გააკეთებთ და დაელოდები. უყვარხარ იმ სირს და ამიტომ ვერაფერს ვუხერხებ. ის იქ იჯდეს და შენ აქ აიშვა, ასე არ გამოვა. დაგბრიდავ იცოდე, ან ისე გადაწყვიტე, ან ასე“, — სასამართლოს შემდეგ ეს სიტყვები მეგობარმა მსახიობ ქალს სასამართლოს ეზოშივე უთხრა.

გაგიკვირდებათ და, ორი წელი მსახიობმა პატიოსნად შეასრულა მოთხოვნები — კვირაში ერთხელ ზონაზე ჩადიოდა, ლომკაცას მეგობრები ფულს არ იშურებდნენ, რომ წყვილს განმარტოვების საშუალება ჰქონოდა და ზონის უფროსი ამით ბედნიერი იყო. ორი წლის შემდეგ კი...

„პატიმარი №0578, ზონაზე მიდიხარ, მოემზადე“, — ლომკაცას დაჭერიდან ორი წლის თავზე მისი ბედი მეგობარმაც გაიზიარა. მასაც ის არ აპატიეს, მთავრობის წევრებს კოჭს რომ არ უგორებდა და რადგან კანონდარღვევა ვერ უპოვეს, ფანტაზიას მისცეს გასაქანი...

იმდენი კი მოახერხეს მეგობრებმა, ზონაზე ერთად მოხვედრილიყვნენ. მსახიობმა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სიარულს მოუკლო, მერე საერთოდ დაიკარგა და ერთ დღეს ჟურნალიდან მეგობრებმა შეიტყვეს, რომ გათხოვდა...

ლომკაცა მშვიდად დასცქეროდა ჟურნალის ყდას, მსახიობის რჩეულს თვალით ზომავდა, მერე მეგობარს გახედა და ღიმილით უთხრა: „ხედავ, რა ჟერებეცი აუგდია?!“

„ჰო, ვხედავ... ისე, თუ გინდა, რომ გავალთ, იმ ქათამ ქორეოგრაფს დაგაჯახებ დლია რაზნააბრაზია... მაინც გადაკეტილი გაქვს ამ ცნობად სახეებზე და მერე რა, რომ ბიჭია“, — გაუღიმა მეგობარმა.

„სხვათა შორის, მაგ ქორეოგრაფმა ცოლი მოიყვანა და ძალიან ბედნიერია. ჩვენს გარდა ყველა ბედნიერია“, — მწარედ გაეღიმა ლომკაცს.

* * *

ჯამში, ცნობილი მსახიობების და ზოგადად, შოუბიზნესის წარმომადგენლების გამო, საქართველოს ციხეებში რამდენიმე ასეული კაცი მოხვდა. სამწუხაროა, რომ გაპროტესტება — ჩემს გამო არავინ დაუჭერიათ, სუფთა ვარო, მხოლოდ ერთეულებს შეუძლიათ.

შინაგან საქმეთა მინისტრი ლატვიელ კოლეგას შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჭიკაიძე კოლეგას, ლატვიის შინაგან საქმეთა მინისტრ რიჰარდს კოზლოვსკის შეხვდა.

მხარეებმა აღნიშნეს არსებული წარმატებული თანამშრომლობა და განიხილეს საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები, მათ შორის, სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესრულებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. ასევე ისაუბრეს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მიმდინარე მნიშვნელოვანი რეფორმებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

მხარეებმა ლატვიისა და საქართველოს სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული თანამშრომლობის უფრო გაძლიერების იმედი გამოთქვეს.

„ვერსიანიუსი“

შვედეთის პარლამენტმა ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა

გადაწყვეტილებას 249-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი.

პარლამენტმა ასევე მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად შვედეთის მთავრობას რატიფიცირების პროცესის ტექნიკური მხარის დასრულება დაევალა.

ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება ევროკავშირის წევრმა 7-მა ქვეყანამ (რუმინეთი, ლიტვა, ლატვია, სლოვაკეთი, მალტა, ბულგარეთი, ესტონეთი) მოახდინა, მათ შორის ორ სახელმწიფოში უნგრეთსა და შვედეთში დოკუმენტის რატიფიცირება ქვეყნის პარლამენტმა განახორციელა და პროცესის დასრულებისთვის აღმასრულებელ ხელისუფლებას მიმართა.

„პირველი“

„ფონდი ნატახტარის“ 2014 წლის ანგარიში — 420 000 ლარი და 164 ბენეფიციარი

სოციალური პროექტის — „იზრუნე მომავალზე“ მეოთხე ტალღა უკვე დაიწყო



27 ნოემბერს, სასტუმრო „რუმს ჰოტელ თბილისში“, „ფონდი ნატახტარის“ პროექტის „იზრუნე მომავალზე“, წლიური ანგარიში წარადგინეს. კომპანია „ნატახტარისა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ წარმომადგენლებმა, 2014 წლის საქმიანობა დეტალურად განიხილეს. მათი ინფორმაციით, სამი წლის განმავლობაში, ფონდში 420 000 ლარზე მეტი შეგროვდა. პროექტის „იზრუნე მომავალზე“ ფარგლებში, 164 ბენეფიციარი ფსიქოლოგიური კონსულტაციით სარგებლობს. მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს სასკოლო საგნებში ამზადებენ, ხოლო სპეციალისტები პროფესიული განათლებისა და მართვის მოწმობის მიღებაში, ასევე პროფესიისთვის საჭირო იარაღებისა და მასალების შეძენაშიც ეხმარებიან. „ფონდი ნატახტარი“ ბენეფიციარებს სტიპენდიით, ბინის ქირით, კვებისა და გზის ხარჯითაც უზრუნველყოფს. რაც მთავარია, ფონდი თითოეულისათვის თანხას, მათივე საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად გამოყოფს.

25 ნოემბერს, პროექტის — „იზრუნე მომავალზე“, მეოთხე ტალღა დაიწყო, რომელიც 2015 წლის 25 თებერვლამდე გასტანს. „ფონდი ნატახტარი“, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თანადგომითა და ლოცვა-კურთხევით, 2010 წლის ნოემბერში შეიქმნა. პროექტი „იზრუნე მომავალზე“, მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს საზოგადოებაში თავის დამკვიდრების საშუალებას აძლევს. ეს პროექტი ხელს უწყობს მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს, რათა დამოუკიდებელ ცხოვრებას მომზადებულები შეხვდნენ. 15-დან 18 წლამდე მოზარდების დახმარების სხვადასხვა პროგრამებს, ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველო“ და კვალიფიციური ფსიქოლოგების გუნდი ახორციელებენ.

„ფონდი ნატახტარის“ საქმიანობა გულისხმობს საქართველოს მოსახლეობის ფართო ჩართულობას საქველმოქმედო პროცესში. ყოველი წლის ნოემბრიდან, თებერვლის ჩათვლით, „ნატახტარის“ ლიმონათის თითოეული გაყიდული ბოთლიდან, თანხა საქველმოქმედო ფონდში გადაირიცხება. თუკი 0.33 ლიტრიან „ნატახტარის“ ლიმონათს შეიძენთ, ფონდში 1 თეთრი გადაირიცხება, 0.50 ლიტრიანი ბოთლის შეძენისას — 3 თეთრი, ხოლო 1 და 2 ლიტრიანი ბოთლების შეძენისას — 5 თეთრი.

კომპანია „ნატახტარის“ მარკეტინგის სამსახურის უფროსის, **თორნიკე ნიკოლაიშვილის** განმარტებით, პროექტი „იზრუნე მომავალზე“, სამი წელია მიმდინარეობს. მისი თქმით, 2014 წელს, ფონდში 420 000 ლარი შეგროვდა და უკვე 164 ბენეფიციარი ჰყავთ. თორნიკე ნიკოლაიშვილი აცხადებს, რომ ეს პროექტი მუდმივია, რადგან მზრუნველობამოკლებულ მოზარდებს, რომლებიც უკვე სრულწლოვანები არიან, ცხოვრების დამოუკიდებლად დაწყებაში ეხმარებიან. თავდაპირველად, ბენეფიციართა ასაკი 16-დან 18 წლამდე განისაზღვრა, მაგრამ მოგვიანებით, ასაკი დასწიეს და ახლა უკვე ამ პროექტით სარგებლობა 15-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდებს შეუძლიათ.

2014 წელი გამოირჩევა იმით, რომ სხვადასხვა საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემებზე ბევრს საუბრობენ. მნიშვნელოვანია, ბიზნესსექტორისა და მოზარდების ურთიერთობა.

„ფონდი ნატახტარისა“ და ასოციაცია „ჩვენი სახლი — საქართველოს“ ხელშეწყობით, საქართველოს მასშტაბით, 29 მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს 10 ფსიქოლოგი ემსახურება. ოფიციალური სტატისტიკა ასეთია: 2012 წელს, პროექტში „იზრუნე მომავალზე“ — 72 ბენეფიციარი ჩაერთო, 2013 წელს — 152 ბენეფიციარი, ხოლო 2014 წელს — 164 ბენეფიციარი ჰყავთ. წელს, ამ 164 მზრუნველობამოკლებული მოზარდიდან, 10 უკვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები არიან, 44 ახალგაზრდა დასაქმდა, 49 ბენეფიციარი — კოლეჯის მოსწავლეა, 25 მათგანი — სხვადასხვა ხელობას სწავლობს, 25 ბენეფიციარი კი ფონდიდან სტიპენდიას იღებს.

რაც მთავარია, „ფონდი ნატახტარის“ პროექტი „იზრუნე მომავალზე“, წლის საუკეთესო სოციალურ პროექტად აღიარეს. 25 ოქტომბერს, თბილისმა ყველაზე მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოებას — Marketing Brilliance Awards 2014 უმასპინძლა, რომლის მიზანი ყველაზე ინოვაციური პროექტების გამოვლენა და საუკეთესოს აღიარებაა. ღონისძიების ორგანიზატორია ბრიტანული კომპანია BOC – Global Events Group-ი. 2014 წელს, ნომინაციაში — წლის საუკეთესო სოციალური პროექტი — „ფონდი ნატახტარი“ დასახელდა. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესდაჯილდოება — Marketing Brilliance Awards 2014-ის ორგანიზატორებმა, სხვა სოციალურ პროექტებს შორის, „ფონდი ნატახტარი“, თავად წარადგინეს. ჟიურიმ და ექსპერტებმა კი ფონდის საქმიანობისა და შედეგების კვლევის საფუძველზე, საუკეთესო პროექტად აღიარეს. ფონდში თანხის შეგროვების ახალი ტალღის დაწყებას მიეძღვნა ახალი სარეკლამო რგოლიც, აღსანიშნავია, რომ ამ რგოლში მონაწილე მოზარდები მსახიობები არიან.

მაია მიშელაძე

ტკივილგამაყუჩებლები ჰეროინზე და კოკაინზე საშიშია

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

საქართველოში ნამდვილი რეცეპტომანიაა — აფთიაქებში ადამიანებს ლამის საათობით უწევთ დგომა, რომ ექიმის მიერ დანიშნული პრეპარატები მიიღონ, იქ რეცეპტი უნდა გატარდეს, დაფიქსირდეს ნებისმიერი წვრილმანი... ერთი სიტყვით, საფთიაქო ბიუროკრატია ყვავის. ალბათ სწორედ ეს იყო მოქალაქეთა პროტესტის მიზეზიც. ადამიანები, სოციალურ ქსელებში, ყველაზე მეტად, პოპულარული პრეპარატის — ნიმესილის რეცეპტით გაყიდვას აპროტესტებდნენ. ამბობდნენ, თავის ყოველ წამოტკივებაზე ექიმთან ვერ ვირბენთო. არადა, ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ ნიმესილი და ნიმესულიდი საკმაოდ მავნე ტკივილგამაყუჩებლებია. ჩვენმა მეგობარმა უკრაინამ კარგა ხანია აკრძალა ყველა იმ კომბინირებული პრეპარატის გაყიდვა, რომელიც ნიმესილსა და ნიმესულიდს შეიცავს. ასეთი რადიკალური ნაბიჯის მიზეზი ის გახდა, რომ ადრე გამოთქმული ვარაუდი მათი მავნებლობის შესახებ, დადასტურდა — უარყოფითად მოქმედებს ღვიძლზე, თირკმელზე, კუჭზე და საგრძნობლად ზრდის ინფარქტის რისკს. უცხოელი მეცნიერები კი განგაშის ზარს რეკენ ზოგადად ტკივილგამაყუჩებლების მავნებლობის შესახებ და დასკვნას დასკვნაზე აქვეყნებენ — ლეგალური ტკივილგამაყუჩებლები უფრო მეტ ადამიანს კლავს, ვიდრე ჰეროინი და კოკაინი(!).

რას იწვევს ანალგეტიკები და რამდენ ქვეყანაში აიკრძალა მათი გამოყენება

კანადელმა მეცნიერებმა McGill University-დან, სწორედ ასეთი დასკვნა დადეს და განაცხადეს, რომ ოპიოიდური ჯგუფის ტკივილგამაყუჩებლები ეიფორიას იწვევს, ხოლო მათი რეგულარული მოხმარების შედეგად ჩნდება ფიზიკური დამოკიდებულება და მიჩვევა. ამ წამლების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა მკვეთრად აღემატება ნარკოტიკების შედეგად დაღუპულთა რიცხვს, ხოლო მათი მოხმარების მხრივ, პირველ ადგილზეა აშშ, მეორეზე კი კანადა — მხოლოდ 2010 წელს ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლების შედეგად გარდაიცვალა 16 ათასი ამერიკელი!

ოპიოიდები სედატიურად მოქმედებს და ანელებს სუნთქვას, ეიფორიისთვის კი ადამიანები მათ განუსაზღვრელი რაოდენობით სვამენ და სწორედ ამის გამო დგება ლეტალური შედეგიც. დაავადებათა კონტროლის ამერიკული ცენტრის მონაცემებით, 2012 წელს 12 მლნ ადამიანი მოიხმარდა რეცეპტურულ ტკივილგამაყუჩებლებს არა პირდაპირი დანიშნულებით, არამედ ნარკოტიკული ეფექტის მისაღებად.

ვერაფერს იტყვი, სტატისტიკა უდავოდ საგანგაშოა, თუმცა ფაქტია, რომ პოპულარული ტკივილგამაყუჩებლების მიღების რისკები მხოლოდ პრობლემის ნაწილია, მთავარი პრობლემა კი თავად ამ წამლების არსებობაა ფარმაცევტულ ბაზარზე: ქრონიკული ტკივილით მსოფლიო მოსახლეობის 25-30% იტანჯება და შედეგად, მარტო აშშ-ში, ყოველდღიურად ანალგეტიკებზე დაახლოებით 90 მილიარდი დოლარი იხარჯება, ხოლო ევროპის ქვეყნებში მათი გაყიდვები ორჯერ მეტია. ამ მახინჯ პრაქტიკას საფუძველი ჯერ კიდევ საუკუნის წინ ჩაეყარა, როცა ფარმაგიგანტებმა ტკივილი ცალკე კატეგორიად გამოყვეს, რათა ცალკე გაეყიდათ ანალგეტიკები — წამლები, რომლებიც ტკივილის გამომწვევ მიზეზს კი არ ებრძოდა, უბრალოდ აქვეითებდა ნერვული დაბოლოებების მგრძნობელობას. **„რეალურად, ტკივილგამაყუჩებლები ძალიან იშვიათადაა საჭირო. მართალია, მათ გარეშე წარმოუდგენელია პოსტტრავმული ან პოსტსაოპერაციო პერიოდი, ასევე ტკივილის დაამება ინფექციისას და სიმსივნის დროს... მაგრამ საქმე ისაა, რომ არანარკოლოგიური ანალგეტიკები სუსტია და არანაირ შვებას ჰგვრის, სხვა შემთხვევებში კი მათი მიღება არასასურველია“,** — აცხადებენ კანადელი მეცნიერები და მაგალითად ასახელებენ პირაზოლონის ჯგუფის პრეპარატებს, რომელთა აკრძალვის მცდელობა ჯერ კიდევ ათეული წლების წინ იყო.

დიპირონი, ბარალგინი, ნოვალდინი, სპაზდოლზინი, ბერლონი, მაქსიგანი, სპაზმალგინი... მას შემდეგ აიკრძალა, რაც დადგინდა, რომ 24-ჯერ ზრდის ძვლის ტვინის დაზიანების ალბათობას და იწვევს მთელ რიგ ლეტალურ გვერდით ეფექტებს. თუმცა მაშინ ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნა, რომელმაც აკრძალა დიპირონ-ანალგინი და ეს მხოლოდ ერთი წამალია პირაზოლონის რიგის. კორპორაცია Hoechs-მ, წამლის მსოფლიო მწარმოებელმა კი, გამოსავალი იპოვა და ფალსიფიკაციას მიმართა, რათა შემოსავალი შეენარჩუნებინა, დისკუსიაში მეცნიერთა ფართო წრეები ჩართო, ხელი შეუწყო გრანდიოზულ სკანდალს და მშვენიერი რეკლამაც გაიკეთა. ამ ჯგუფის დანარჩენ პრეპარატებს ასეთი რეზონანსი არ გამოუწვევია და ისინი ნელ-ნელა ამოიღეს საფთიაქო ქსელიდან. თუმცა რამდენიმე მაგალითის დასახელება შეიძლება, სადაც ხელისუფლება საკუთარი მოსახლეობის გენოციდით არაა დაკავებული: 1982 წელს გერმანიის რესპუბლიკამ, მას შემდეგ, რაც მოსალოდნელი საფრთხის შესახებ მიიღო დოკუმენტურად დადასტურებული ინფორმაცია, 80 დასახელების წამალი ამოიღო გაყიდვიდან. და მხოლოდ Hoechst-მა შეინარჩუნა ბაზარზე თავისი ბარალგინი; 1983 წელს ისრაელის ჯანდაცვის სამინისტრომ ქსელიდან ამოიღო დიპირონის კომბინირებული პრეპარატები და ამით უდიდესი ზარალი მიაყენა წამლის ადგილობრივ მწარმოებლებს; ეკონომიკის ვარდნა არც იაპონიისთვის აღმოჩნდა ბარიერი ამ წამლების ამოღებისას, არც საბერძნეთის, საუდის არაბეთისა და სხვათა შორის, არცთუ მდიდარი მექსიკისთვის — არც მეტი — არც ნაკლები, ადგილობრივ ბაზარზე ანალგეტიკური საშუალებების 44 პროცენტი ამოიღო. მას მიბაძა ფილიპინებმაც და ასეთ ქვეყნებში მსგავსი ნაბიჯები მხოლოდ ზარალზე წასვლას კი არა, წვრილ ბიზნესმენთა განადგურებასაც ნიშნავდა.

ასეა თუ ისე, ფაქტია, ჩვენს ქვეყანაში მსგავს „უმნიშვნელო“ ნიუანსებს ყურადღება ნაკლებად ექცევა. თავი აგტკივდა? ანალგინი; ყური აგტკივდა? ანალგინი და წარმოდგენაც არავის აქვს, რომ ეს პრეპარატები განსაკუთრებით საშიშია მათთვის, ვისაც ინფარქტი აქვს გადატანილი.

სწორედ კოპენჰაგენის უნივერსიტეტის მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ მოხალისეთა 43 პროცენტში იმატა ინფარქტისა და შედეგად, ლეტალური გამოსვლის რისკმა, „უკეთეს შემთხვევაში“ კი აზიანებდა ღვიძლს, რომ არაფერი ვთქვათ ჩამოყალიბებულ დამოკიდებულებაზე.

ადრე ექიმები ანალგინისა და ამიდოპირინის საშუალებით მაღალ ტემპერატურას ებრძოდნენ, დღეს კი ამ ნაზავს უწოდებენ შხამს სისხლისთვის, რადგან მათი შემადგენელი ნივთიერებები, არამცთუ ერთად, ცალ-ცალკეც კი ანადგურებს ლეიკოციტებს და აქედან გამომდინარე, ბევრმა ცივილიზებულმა ქვეყანამ უარი თქვა მათ გამოყენებაზე.

1. მადიარების ქვეყანა
2. სამგზავრო ჩანთა წვრილმანი ნივთებისთვის
3. ქლიავის ჯიში
4. პურის საცხობი ღუმელი
5. მიკრობლოგების სერვისი
6. ნავთობის გადამუშავების პროდუქტი
7. თვითმავალი მუხლუხებიანი მანქანა
8. უკრაინის პარლამენტი
9. საავადმყოფო ძველ საქართველ.
10. მანძილის ერთეული, უდრის 143 ნაბიჯს
11. პათოლ. შიში საკუთ. ჯანმრთელ. გამო
12. წყალქვეშ სასუნთქი აპარატი
13. ღმერთების ადგილსამყოფელი სკანდმით.
14. ცნობილი ბერძენი მულტიმილიონერი
15. ალეგორიული მოთხრობა
16. ფუტკრის ნობათი
17. ამერიკელი მწერალი
18. ინერტული აირი
19. იგი-ვეა, რაც ქალიმვილი
20. გემების ერთობლიობა
21. პატარა მწვანე ბაყაყი
22. ბერძნული ანბანის ასო
23. რეზო ესაძის კინოქალაქი
24. ჯინსების მწარმოებელი ფირმა
25. მრწამსი, მსოფლმხედველობა
26. ძველი საბუთების საცავი
27. ამერიკული ავტომარკა
28. სახოტბო შემასხილი ქრისტიანღვთისმსახურ.
29. ბალახის ჩრდილი
30. მდინ. ურალის ყოფილი სახელწოდ.
31. არაცნობიერი სექსუალური ჟინი
32. არგენტინის ლეგენდარ. პირვ. ლედი
33. აბელის და კაინის დედა
34. ვაზის წყვილმტვენიანი რქა
35. ბიბლიური იაკობის ძმა
36. დედის ან მამის დედა
37. კოლუმბის ერთ-ერთი ხომალდი
38. შემასხილი კონცერტზე ნომრის გამ. მოთხოვნით
39. ჭადრაკის საერთაშ. ფედერაცია
40. ჯაყო ჯიგაშვილის ეროვნება
41. სასროლეთი
42. დაბადების მოწმობა
43. მგალობელი ფრინველი
44. ერთერთი მუშკეტერი
45. გეომეტრიული ფიგურა
46. ჭადრაკის ფიგურა
47. ფაშისტთა საბრძოლო რაკეტა
48. ამერ. მსახიობი
49. ათის კვადრატი
50. სოფელი ონის რაიონში
51. მხარე, მიდამო
52. ველური კომში
53. ზევსის სატრფო, რომელიც ჰერამ ძროხად გადააქცია
54. ღვთისმშობლის სახელი კათოლიკ.
55. კავშირი ქართულ ენაში
56. მონარქიული ქვეყნების კავშირი
57. ნაბიჯი ბალეტში
58. გამოუცდელი, მიამიტი ადამიანი
59. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში
60. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა
61. ქართული ხალხური სიმღერა
62. მიმართვა ფრანგი მეფისადმი

ქვეყანა ყველაზე ჯანსაღი საკვებით

ყველაზე მრავალფეროვანი და სასარგებლო საჭმლის ქვეყნად ნიდერლანდები დასახელდა და რეიტინგში საფრანგეთსა და შვეიცარიას აჯობა. ჰოლანდიამ შეძლო კარგი ბაზრის ჩამოყალიბება, რომელიც ადგილობრივებს საშუალებას აძლევს, საკმარისი სასარგებლო საკვები მიიღოს. ფასები საკმაოდ დაბალი და სტაბილურია, ხოლო ის, რასაც აქაურები მიირთმევენ — ბალანსირებული, — განაცხადეს საქველმოქმედო ორგანიზაციის Oxfam სპეციალისტებმა, რომელთაც რეიტინგი შეადგინეს. ტოპ-ოცეულში ევროპული ქვეყნები დომინირებენ, მათ შორის „ჩააკვეხეს“ ავსტრალიაც. აშშ და იაპონია მხოლოდ 21-ე ადგილს იყოფენ. ამერიკელების ასეთი დაბალი პოზიცია იმით აიხსნება, რომ ხელმისაწვდომი და ხარისხიანი პროდუქტის მიუხედავად, ქვეყანაში საკმაოდ მაღალია ჭარბწონიანთა და დიაბეტით დაავადებულთა მაჩვენებელი. ამომავალი მზის ქვეყანაში კი ჯანსაღ საკვებზე ფასი საკმაოდ მაღალია. 125-წევრიან სიაში, ბოლო ადგილზე აღმოჩნდა აფრიკული ჩადი, რომელიც ოდნავ ჩამორჩა ანგოლასა და ეთიოპიას. Oxfam რეიტინგს იმ მაჩვენებლების საფუძველზე ადგენს, რომელიც განსაზღვრავს კვების პროდუქტის რაოდენობას, ხარისხსა და ხელმისაწვდომობას ყოველ ქვეყანაში. ასევე ითვალისწინებს იმასაც, რამდენად ჯანსაღია ეს საკვები, ნორმაზე ნაკლები წონის მქონე ბავშვების რაოდენობას, პროდუქტის მრავალფეროვნებას, სასმელი წყლის მიღების შესაძლებლობას და ისეთ დაავადებებს, როგორიც სიმსუქნე და დიაბეტია.

რამდენ წამში შეიძლება შეყვარება?

იმისთვის, რომ ადამიანი შეგიყვარდეს, წამის მეხუთედია საჭირო, — ასეთი დასკვნა დადეს იტალიელმა სწავლულებმა სირაკუზას უნივერსიტეტიდან. მათი თქმით, სიყვარული კოკაინის ზემოქმედებას ჰგავს: გრძნობის პირველი ტალღა ტვინის 12 განსხვავებულ უბანს ააქტიურებს; ამასთან, სისხლი გამოყოფს ისეთ ნივთიერებებს, როგორიცაა ოქსიტოცინი, დოპამინი, ადრენალინი და ვაზოპრესინი. საინტერესოა, რომ იგივე ჰორმონები სისხლში კოკაინის გამოყენებისასაც გამომუშავდება. სიყვარულს მეცნიერული ახსნა აქვს, თუმცა, აქამდე გაურკვეველია, ადამიანს გონებით უყვარდება თუ გულით. ალბათ, უფრო მეტად, მაინც გონებით, — აცხადებენ მკვლევარები. ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ სიყვარულის სხვდასხვა სახეობაზე ტვინის სხვადასხვა უბანია პასუხისმგებელი — მაგალითად, დედაშვილურ სიყვარულზე პასუხისმგებლობას ტვინის შუა ნაწილი იღებს, ხოლო ვნებიან სიყვარულზე — ტვინის კოგნიტური ნაწილი.

ცხოველ კნუტებით იხსნიან

აშშ-ში, ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ქუჩაზე მინის ჯიხური გაჩნდა, რომელიც ადგილობრივი თავშესაფრიდან გამოყვანილ კნუტებთან თამაშისთვისაა განკუთვნილი. ამ წამოწყების მიზანია, მოსახლეობის ყურადღება უსახლკარო ცხოველების პრობლემებზე გაამახვილონ და იმავდროულად, ქალაქის მცხოვრებთ, პოზიტიური ემოციებით, ყოველდღიური სტრესის მოხსნაში დაეხმარონ. ამ საქველმოქმედო ინიციატივის იდეა ცხოველთა საკვებისა და ჰიგიენური საშუალებების მწარმოებელ ფირმას ეკუთვნის. გამჭვირვალე ბოქსს ფისოების თავშესაფრის სპეციალისტი ადევნებს თვალყურს. ვინც სიახლე უკვე გამოსცადა და კნუტებს გაეთამაშა, აცხადებენ, რომ სტრესისა და დაღლილობის კვალიც კი გაქრა. კატები დიდი ხანია აღიარებულნი არიან „სპეციალისტებად“ სტრესის მოხსნაში. ბოლო დროს, მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში (ტოკიოში, ლონდონში, პეტერბურგში) კაფეებიც გაიხსნა, სადაც კატებთან გართობა შეიძლება.

სუდოკუ

ადვილი

	1		4	8		6		
					6		2	
					5	8		7
9	7	5			2			
4								2
			1			5	4	9
3		2	8					
	6		2					
		4		3	9		8	

სტანდარტი

		2	5		3			
		6			7			3
	4						1	
	3				2	8	5	
	5			9			6	
	8	7	6				2	
	2						3	
3			4			6		
			8		9	4		

რთული

5						9		
			9	4	7		5	
	1				5		3	
2	8					5	1	
	7	3					6	4
	5		1				9	
	4		6	8	9			
		9						8

ექსპერტი

8	4	3					6	
		1	8			7	4	
7					3		2	
		6			2		9	
4				6				7
	7		1			2		
	8		4					9
	6	4			7	1		
	3					6	7	4

ვირუსი, რომელიც ადამიანს აშცერებს

აშშ-ს ნებრასკას უნივრსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მტკნარ წყალში არსებული ჩვეულებრივი წყალმცენარეები შეიცავს ვირუს chlorovirus ATCV-1-ს, რომელიც შეიძლება ყელიდან მოხვდეს ორგანიზმში, გენებზე იმოქმედოს და შედეგად ადამიანს ჭკუა დააკლდეს. ეს ფაქტი შემთხვევით აღმოაჩინეს და კვლევის ავტორები გაოცებულნი დარჩნენ, როდესაც ადამიანის ყელიდან აღებული დნმ-ის ნიმუშები იმ ვირუსის დნმ-ს დაემთხვა, რომელიც მწვანე წყალმცენარეების ინფიცირების უნარითაა ცნობილი. კვლევაში მონაწილე 92 მოხალისედან 42-ს დადებითი ტესტი დაუდგინდა ამ ვირუსზე და დაინფიცირებულებს ინტელექტუალური შესაძლებლობები ნაკლებად განვითარებული ჰქონდათ — ისინი ცუდად ართმევდნენ თავს ტესტებს. რთულია წარმოდგენა, რამდენი ადამიანია ჩვენს პლანეტაზე ამ ვირუსის გადამტანი და როგორ აისახება მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე.

ექიმთან დილის საათებში წადით

უმჯობესია, ექიმთან ვიზიტი დილის საათებში დაგეგმოთ, როცა მათ მაქსიმალურად სუფთა ხელები აქვთ, — გვირჩევენ ამერიკელი მკვლევარები პენსილვანიის უნივერსიტეტიდან და დასძენენ, რომ ეს მნიშვნელოვნად ამცირებს საშიში ინფექციების გადაცემის რისკს. სწავლულებმა ამერიკულ საავადმყოფოებში ასობით სამედიცინო მუშაკის მიერ ჰიგიენის წესების დაცვა შეისწავლეს და აღმოჩნდა, რომ რაც უფრო დიდხანს გრძელდება ექიმის სამუშაო დღე, მით ნაკლებად იბანს ის ხელებს. მკვლევარების თქმით, სწორედ ექიმებისა და მედდების დაუბანელი ხელი იწვევს უამრავი ინფექციის გადაცემას, მათ შორის ისეთისაც, რომელიც ძნელად ექვემდებარება ანტიბიოტიკურ მკურნალობას. მკვლევრებმა სამი წლის განმავლობაში 4 157 მედმუშაკზე მოაგროვეს ინფორმაცია ხელების დაბანაზე აშშ-ს 35 ჰოსპიტალში. აშშ-ში დღეს არსებული პროტოკოლი ითხოვს, ექიმმა პაციენტების პალატიდან გასვლისთანავე დაიბანოს ხელი და ისე შევიდეს სხვა პალატაში. სწავლულება დაადგინეს, რომ ამ წესებს ექიმები იცავენ მხოლოდ სამუშაო დღის დასაწყისში.

მწვანე ჩაი ინსულტის რისკს ამცირებს

ავსტრალიელმა მეცნიერებმა, ჩინელ კოლეგებთან ერთად, ჩინეთში დაავადებათა სტატისტიკა შეისწავლეს. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ მწვანე ჩაის ხშირი და ხანგრძლივი მოხმარება მნიშვნელოვანწილად ამცირებს იშემიური ინსულტის რისკს. ავსტრალიელმა სწავლულებმა ჩინეთის საავადმყოფოებში 400-მდე პაციენტი გამოიკვლიეს, რომელთაც ინსულტი გადაიტანეს და კიდევ 500-მდე ადამიანი — საკონტროლო ჯგუფის რანგში. იშემიური ინსულტის რისკის მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნებოდა, სულ მცირე, კვირაში ერთი ფინჯანი მწვანე ჩაის მიღების შემდეგაც კი. ხოლო ყვლაზე მეტად საფრთხე მათში მცირდებოდა, ვინც ამ სასმელს ყოველდღიურად, ერთ ან ორ ფინჯანს მაინც სვამდა. ჯერჯერობოთ ზუსტად არ არის დადგენილი ის ბიოლოგიური მექანიზმი, რაც მწვანე ჩაის ამ თვისებას უკავშირდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჩაის კომპონენტებს შეუძლიათ არტერიული წნევის დაქვეითება, ასევე ხელს უშლის თრომბის წარმოქმნასა და ათეროსკლეროზის განვითარებას.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

5	4	6	8	2	3	7	1	9
2	3	1	9	7	6	8	5	4
8	7	9	4	5	1	6	3	2
1	6	2	7	4	9	5	8	3
9	8	7	6	3	5	4	2	1
4	5	3	2	1	8	9	7	6
3	9	8	1	6	7	2	4	5
7	2	5	3	9	4	1	6	8
6	1	4	5	8	2	3	9	7

სტანდარტი

8	4	6	5	7	3	2	1	9
9	5	7	1	2	8	6	4	3
3	2	1	6	9	4	8	7	5
4	3	8	9	1	6	5	2	7
2	1	9	8	5	7	4	3	6
7	6	5	4	3	2	1	9	8
5	9	4	7	8	1	3	6	2
1	8	3	2	6	9	7	5	4
6	7	2	3	4	5	9	8	1

რთული

8	4	3	7	5	2	6	1	9
2	1	5	6	9	4	7	3	8
6	7	9	3	8	1	2	5	4
5	3	4	2	1	8	9	7	6
7	2	1	9	6	5	8	4	3
9	6	8	4	7	3	1	2	5
1	8	2	5	4	9	3	6	7
4	9	6	1	3	7	5	8	2
3	5	7	8	2	6	4	9	1

ექსპერტი

3	6	2	1	8	9	7	5	4
5	4	8	7	6	3	2	1	9
1	9	7	5	4	2	6	8	3
9	7	5	3	2	1	4	6	8
4	3	6	9	5	8	1	7	2
8	2	1	6	7	4	9	3	5
2	1	9	8	3	6	5	4	7
7	8	4	2	1	5	3	9	6
6	5	3	4	9	7	8	2	1

მე-10 გვერდი: მე-10 გვერდი: 1. 1. აზავერი; 2. ზამბარა; 3. ვოდევილი; 4. როკი; 5. გვარდია; 6. ვინდჰუკი; 7. რეკვიემი; 8. იორი; 9. ქაცვი; 10. ცაიტნოტი; 11. ინოზიტი; 12. აკლდამა; 13. ოჰაიო; 14. ახალაია; 15. ოტიატრი; 16. ტრიკონი; 17. დიუნი; 18. სკიბობი; 19. რაინდი; 20. სკამი; 21. ალიევი; 22. კატეხუ; 23. იაილო; 24. ტიზანია; 25. დღგ; 26. გოია; 27. კლიფსი; 28. ბაკარა; 29. ილიამნა; 30. დაფნა; 31. ოლბია; 32. ლჰასა; 33. ბრაილი; 34. ტროფეი; 35. ორლი; 36. აპოხტი; 37. პკე; 38. ტაი; 39. ნიუ; 40. ფელაჰი; 41. ბერლიოზი; 42. პინა; 43. რეი; 44. ბალთა; 45. ბისო; 46. ტუ; 47. პოლ; 48. კლიჩკო; 49. ლიონ; 50. ბრა; 51. რიდი; 52. სტოა; 53. ელვა; 54. სკა; 55. ოთურმა; 56. გახუ; 57. ურო; 58. დიეზი; 59. ლუარა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
რუსუდან შელია, გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი საკონტრაქტო სამსახურში მიღებას აცხადებს

125
დაცვის პოლიცია
SECURITY POLICE

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი აცხადებს 18-დან 27 წლის ასაკის მოქალაქეთა მიღებას საკონტრაქტო სამსახურში.

სამხედრო აღრიცხვაზე მყოფი მოქალაქეები სამსახურში მიიღებიან ერთი წლის ვადით. დაცვის პოლიციაში სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდა, წვევამდელების გარდა, შეუძლიათ სტუდენტებს, ოჯახში ერთადერთ შვილებს, 27 წლამდე მამაკაცებს, რომლებსაც ჰყავთ ცოლ-შვილი. სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოხდის შესახებ კანონმდებლობის მიხედვით აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეები შეღავათებით სარგებლობენ, თუმცა, თუ მათ სამომავლო კარიერისთვის სურვილი აქვთ, გაიარონ სამხედრო სამსახური, შეუძლიათ, მიმართონ შსს-ს დაცვის პოლიციის დეპარტამენტს.

საკონტრაქტო სამსახურის პირობები:

ვადა: 12 თვე
გრაფიკი: სამ დღეში ერთხელ 24-საათიანი რეჟიმი (შესაძლებელია სწავლის შეთავსება).
ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაზღვევა;
ყოველთვიური ანაზღაურება: 90 ლარი;

სამსახურში ჩასარიცხად საჭიროა:

1) კანდიდატი მობრძანდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტში მისამართზე: აღმაშენებლის ხეივანი მე-11 კმ.
2) დაასახელოს/წარმოადგინოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ან სხვა ძალოვანი უწყების თანამშრომლის რეკომენდაცია;
3) გაიაროს გასაუბრება და ჯანმრთელობის კომისიის შემოწმება;

წარმატებული კანდიდატები ორი კვირის განმავლობაში გაივლიან სპეციალური მომზადების კურსს. სამხედრო ფიცის მიღების შემდეგ ჩაირიცხებიან შინაგან საქმეთა სამინისტროს საკონტრაქტო სამსახურში და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სხვადასხვა ქვედანაყოფში გადანაწილდებიან.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ნომერზე: 125 (ზარი უფასოა).

დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.

GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge